157
ეროვნული ბიბლიოთეკა

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

მეოთხე წელიწადი

კომუნისტი

საქართ. კომუნისტურ პარტიის ცენტრალური და თბილისის
კომიტეტის
და სრულიად საქართველოს მუშათა გლეხთა, წითელარმიელთა და მეზღვაურთა დეპუტატების საბჭოების
ცენტრ. აღმასკომის
ორგანო

რედაქცია
თბილისი, რუსთაველის პროსპექტი № 24, მეორე სართული
რედაქციაში საქმისათვის მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე გარდა კვირა-უქმეებისა 10—11 საათ.
ტელეფონები (რედაქტორის 14—76 (მდივანის 10—58
ექსპედიციის ტელეფ. 5—43

მთავარი კანტორა
თბილისი. რუსთაველის პროსპექტი
ტელეფონი 10—49
ხელისმოწერის ფასი: მუშა-მოსამსახურეთ 65 კ., დანარჩენებისათვის ქალაქში 85 კ., ქალაქს გარეშე—95 კ., ხელისმომწერნი მიიღებენ „ჩირაღდანს". განცხადებები: მომბრალის სტრიქონი—20 კ., აწყობა ციფრებით—40 კ. სამგლოვიარო—5 მან. დოკუმენტების დაკარგვა—50 კაპ. განცხადებები მიიღება 3 საათამდე

სამშაბათი, 23 დეკემბერი 1924 წ.
ყოველდღიური გაზეთი
ფასი 5 კ. № 293 (1148)

დღიური

— გარდაიცვალა ინგლისის ყოფილი ელჩი რუსეთში ბიუკენენი.

— მუშაობა შესწყვიტეს ინგლისის, იტალიის და პოლონეთის პარლამენტებმა.

— რეიხსტაგი გაიხსნება 5 იანვარს.

— გერმანიის მთავრობამ განთავისუფლა ცნობილი ფაშისტები გიტლერი და ფეხენბახი, რომელთაც ბრალი ედებოდათ სახელმწიფო ღალატში.

სოფლად მუშაობის მომწყობი ა. კ. საოლქო პარტიული კომისია

იწვევს ყველა თავის წევრებს, რომ 23 დეკემბერს, საღამოს 6 საათზე რუსეთის კომპარტიის ამიერ-კავკასიის საოლქო კომიტეტის შენობაში შესდგება

კომისიის მორიგი სხდომა

თავის დროზე გამოცხადება სავალდებულოა კომისიის ყველა წევრებისათვის.

ამ.-კავკ. პარტ. საოლქო კომისიის თავმჯდომარე მ. ცხაკაია.

ქ. თბილისის სავაჭრო ორგანოებში მომუშავე კომუნისტების თათბირი გადატანილია

ოთხშაბათ 24 დეკემბრისათვის. საღამოს 6 საათზე სასახლის წითელ დარბაზში.

რუსეთის კომპარტიის ა.-კ. საოლქო კომიტეტის და ცენტ. საქ. კომისიის პრეზიდიუმები.

ა.-კ. და საქარ. მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახ. კომისარიატები.

ჭეშმარიტი დემოკრატია

საბჭოთა კავშირიდან ლონდონში დაბრუნდა ინგლისის ტრედიუნიონების დელეგაცია, რომლის განცხადებებს ჩვენს რესპუბლიკებში მოგზაურობის დროს დიდი ყურადღებით ისმენდა მთელი მსოფლიოს მუშათა კლასი.

საზღვარგარეთელი ბურჟუაზიული პრესა და მეორე ინტერნაციონალის „მოღვაწენი" ყოველგვარი საშუალებებით ცდილობდენ გაებათილებიათ ის შთაბეჭდილება, რომელსაც სტოვებდა ამ დელეგაციის განცხადებები. ისინი ვერც მომავალში შეურიგდებიან იმ სიმართლეს, რომელსაც შეიცავს ტრედიუნიონთა ხელმძღვანელების მიუდგომელი სიტყვა საბჭოთა რესპუბლიკების ნამდვილი მდგომარეობის შესახებ.

ცხადია ისინი შეეცდებოდნენ დელეგაციის ჩაჩუმებას მათზე ყოველგვარი ზეგავლენის მოხდენით. ჩვენ ხომ ვიცით თუ როგორი ბედი ეწია ედო ფიმენს, ტრანსპორტის მუშათა საერთაშორისო გაერთიანების მდივანს საბჭოთა კავშირიდან დაბრუნების შემდეგ. ფიმენი იძულებული გახდა გაჩუმებულიყო, ხელი აეღო საზღვარგარეთულ [illegible] და მეორე ინტერნაციონალისთვის მომაკვდინებელ ცნობების გამოქვეყნებაზე საბჭოთა კავშირის შესახებ.

ფიმენი გაჩუმდა, მაგრამ როგორც სჩანს ტრედიუნიონების დელეგაციის გაჩუმება ვერ შესძლო ინგლისის ბურჟუაზიამ და სოციალ შემთანხმებლებმა ტრედიუნიონების ხელმძღვანელები თავის ქვეყანაში დაბრუნების შემდეგ განაგრძობენ ბრძოლას წინააღმდეგ იმ სიცრუისა და ცილისწამების კამპანიისა, რომელიც სწარმოებს საერთაშორისო ბურჟუაზიისა და მის მაჩანჩალა სოციალ-შემთანხმებელთა ბანაკის ხელმძღვანელობით.

დღევანდელ დეპეშებში მოყვანილია ინგლისის ტრედიუნიონების კონგრესის გენერალური საბჭოს მიერ გამოქვეყნებული წინასწარი ცნობა ტრედიუნიონების დელეგაციის გამოკვლევათა შედეგების შესახებ.

პირველყოვლისა ამ ცნობაში დელეგაცია აღნიშნავს იმ დიდ განსხვავებას და გაუმჯობესებას, რომელიც მოხდა საბჭოთა კავშირის სოციალურ, სამრეწველო და ეკონომიურ პირობებში 1922 წლის შემდეგ, როდესაც ინგლისის ტრედიუნიონების პირველმა დელეგაციამ ინახულა საბჭოთა რუსეთი. დელეგაცია აღნიშნავს საბჭოთა კავშირის ეკონომიური აღორძინების პროცესის ჩქარი ტემპით სვლას, ჩვენი ფინანსიურ სისტემის სიმტკიცეს, მუშათა კლასისათვის საბინაო პირობების გაუმჯობესებას, წერა-კითხვის უცოდინარობის სალიკვიდაციო კამპანიის მსვლელობას, მუშა-მოსამსახურეთა ჯანმრთელობის დაცვას და სხვა.

ვრცელ ანგარიშში, რომელიც მომავალში იქნება გამოქვეყნებული, დელეგაცია შეეცდება დაამტკიცოს რომ შესაძლებელია ყოველივე შიშს გარეშე საბჭოთა კავშირის ბუნებრივ სიმდიდრეთა დასამუშავებლად კაპიტალის გაღება. საერთოდ კი დელეგაციის აზრით იმდენათ გაუმჯობესდა მატერიალური და მორალური მდგომარეობა საბჭოთა კავშირში მცხოვრებ ერთა, რომ საბჭოთა კავშირს აუცილებლათ უნდა დაეთმოს მუდმივი ადგილი ევროპის ხალხთა შორის.

ერთი სიტყვით დელეგაცია, როგორც სჩანს მტკიცედ იცავს თავის შეხედულებებს, ტრედიუნიონების გენერალური კონგრესის საბჭოც ეთანხმება მას. ეს კი დიდათ საყურადღებო და მნიშვნელოვანია ჩვენი რესპუბლიკების მომავალი განვითარებისთვის.

კავშირი, რომელიც უკვე გაბმული იყო საბჭოთა კავშირის მშრომელთა და ინგლისის მუშათა კლასის შორის თანდათან მტკიცდება და ურყევი ხდება. ინგლისის ტრედიუნიონების მემარცხენე ფრთის გავლენა და ავტორიტეტი თანდათან იზრდება. მუშათა კლასის მთლიანი საერთაშორისო ფრონტის იდეა ხორცს ისხამს, საერთაშორისო ბურჟუაზიის და სოციალ-შემთანხმებელთა სიყალბეს ნიადაგი ეცლება.

სიმართლე საბჭოთა კავშირის შესახებ თუმცა დიდი დაბრკოლებების გადალახვით, მაგრამ მაინც იმარჯვებს. დასავლეთის ქვეყნების ბურჟუაზიას ეშინია და გაურბის სიმართლეს საბჭოთა კავშირის შესახებ. იქაური მუშათა კლასი კი მიისწრაფის ამ სიმართლისკენ; მისი სრული შეთვისება, მისი შესისხლხორცება მას აუცილებლათ მიიყვანს იმ დასკვნამდე, რომ კაპიტალისტური ქვეყნების მუშათა კლასმაც უნდა წაბაძოს საბჭოთა კავშირის მუშათა კლასს და მოამზადოს ნიადაგი მსოფლიო ოქტომბრისთვის.

მხოლოდ მსოფლიო ოქტომბერი განახორციელებს ნამდვილ ცოცხალ დემოკრატიას, რომლის შესახებაც სწერს გერმანიის კომპარტიის ორგანო „როტე ფანე"-ში ტრედიუნიონების დელეგაციის წევრი ბენ-ტილეტი. „რუსეთში ჩვენ ვნახეთ ნამდვილი ცოცხალი დემოკრატია, რომლის პრინციპები შეჭრილია სამრეწველო და სოციალური ცხოვრების ყოველ კუნჭულში. რუსეთის გამარჯვება უზრუნველყოფილია. კლასობრივი თვითშეგნებით გასმჭვალულმა ყოველმა დემოკრატიამ უნდა მიბაძოს რუსეთის მაგალითს.

მსოფლიო მუშათა კლასი კიდეც შექმნის ისეთ ნამდვილ და ცოცხალ დემოკრატიას, როგორიც არსებობს საბჭოთა კავშირში.

კერძო კაპიტალის გამოყენებისათვის

ჩვენი ხელმძღვანელი ორგანოების გადაწყვეტილება, რომ უფრო ფართოდ იქნეს გამოყენებული კერძო კაპიტალი ქვეყნის აღებ-მიცემობაში, სრულებით არ ნიშნავს გადახრას ჩვენს სავაჭრო პოლიტიკაში. ლაპარაკი იმის შესახებ, თითქოს ადგილი ჰქონდეს გადახვევას უკანასკნელი პარტიული ყრილობის დირექტივებისაგან, რომელიც შეეხება სახელმწიფო და კოოპერატიული ვაჭრობის პოზიციების გაძლიერებას და განმტკიცებას ნაყოფია უსაქმო მედუქნეების ფანტაზიის საქონლის მთავარ გამტარებელ გზებათ სოფელსა და ქალაქს შორის და საბჭოთა კავშირის ცალკე რაიონებს შორის გახდენ და კიდეც დარჩებიან კოოპერაცია და სახელმწიფო სავაჭრო აპარატი, რომლებიც სარგებლობენ რა ნაციონალიზაციაქმნილი მრეწველობის, საკრედიტო დაწესებულებების და მთელი სახელმწიფო აპარატის დახმარებით, მომავალშიაც განაგრძობენ სისტემატიურ ბრძოლას ბაზარზე თავისი გავლენის გასაძლიერებლად.

ლაპარაკი შეიძლება მხოლოდ მათი შემდგომი განვითარების ტემპზე, რომელიც სავსებით დამოკიდებულია ქვეყნის საერთო სამეურნეო პირობებისაგან. გასული სამეურნეო წელი აღინიშნა სახელმწიფო ვაჭრობის და კოოპერაციის ფართო განვითარებით. საგლეხო ბაზრის ტევადობის გადიდებასთან ერთად, რაც, მიუხედავად მოუსავლიანობისა, გამოწვეული იყო საგლეხო მეურნეობის კეთილდღეობის შედარებითი გაუმჯობესებით, იზრდებოდა ქვეყნის აღებმიცემობა, რომელშიაც კოოპერაციის და სახელმწიფო ვაჭრობის მონაწილეობის წილი შესაფერისად ფართოვდებოდა.

საკუთარი საბრუნავი საშუალებების სიმცირის გამო, ჩვენი სავაჭრო აპარატები ფართოდ სარგებლობდენ კრედიტებით მრეწველობისა და საბანკო დაწესებულებებისაგან.

ეს მნიშვნელოვანი თანხები დაიბანდა კოოპერაციაში და სახელმწიფო ვაჭრობაში და ჩვენი მრეწველობა, თვითონაც ღარიბი ძირითად და საბრუნავ კაპიტალით, დადგა ფინანსიური კრიზისის ფაქტის წინაშე.

საჭირო იყო მდგომარეობიდან გამოსავალის გამოძებნა.

რამდენად წარმოების გაფართოება წარმოადგენს ჩვენს ერთერთ ძირითად ამოცანას და გამოწვეულია აუცილებლობით, ჩვენ იძულებული ვართ კერძო სავაჭრო კაპიტალის ნაწილობრივად გამოყენების გზით საშუალება მივსცეთ საბჭოთა მრეწველობას გააძლიეროს თავისი ნაღდი საშუალებები და გაფართოვდეს იმ ზომამდე, რომ დააკმაყოფილოს საბჭოთა ბაზრის ტევადობა, რომელიც თანდათან დიდდება.

ამ რიგად, აღებ-მიცემობიდან გასული კერძო სავაჭრო კაპიტალის ნაწილი, სახელმწიფო და კოოპერატიული სავაჭრო კაპიტალის სიმცირის და გაფართოების გზაზე დამდგარი აღებ-მიცემობის მოთხოვნილებების დაუკმაყოფილებლობის გამო, კვლავ იჭერს ზოგიერთ პოზიციებს, ცდილობს შეასუსტოს სახელმწიფო ვაჭრობის და კოოპერაციის გავლენა და შეაფერხოს მათი შემდეგი განვითარება.

ამიტომ საჭიროა სათანადო გამძლეობის გამოჩენა და მომზადება იმისთვის, რომ „დავძლიოთ კერძო ვაჭრობა მთელი რიგი წელი, თანდათანობით ფრთხილი, „საალყო" მოქმედებებით".

პირველყოვლისა ჩვენ უნდა მოვაგვაროთ ჩვენი კომერციული ურთიერთობა ჩვენს კრედიტორებთან — ბანკებთან და სამრეწველო გაერთიანებებთან, რომლებიც ითვალისწინებენ კერძო კაპიტალის გაძლიერების მთელს საშიშროებას და ჩვენთვის მთელ რიგ შეღავათების და უპირატესობის მონიჭების გზით საშუალებას მოგვცემს გავმაგრდეთ ჩვენს მიერ დაკავებულ პოზიციებზე.

შემდეგ ჩვენ სათანადო ყურადღება უნდა მივაქციოთ ვაჭრობის მოწესრიგების საკითხს. დღემდე კერძო ვაჭრობა, სუსტად განიცდიდა შინა-ვაჭრობის სახალხო კომისარიატის ხელმძღვანელობას. უყენებდა რა მკაცრ მოთხოვნილებებს კოოპერაციას და სახელმწიფო ვაჭრობას, შინაური ვაჭრობის მომწესრიგებელი ორგანო, უნებლიეთ ქმნიდა პრივილეგიურ მდგომარეობას კერძო ვაჭრობისათვის, როგორც გასაყიდი ფასების დაწესების თავისუფლების, ისე საჭირო ფორმალობათა შესრულების მხრივ. დღეიდან კერძო კაპიტალი, რომელიც ძლიერდება ქვეყნის აღებმიცემობაში, უნდა იმყოფებოდეს მომწესრიგებელ ორგანოების უფრო ფხიზელ მეთვალყურეობის და გავლენის ქვეშ.

არა ნაკლები როლი აქვს სახელმწიფო საგეგმო კომისიას. ჩვენი სავაჭრო ორგანიზაციების პრაქტიკა აშკარად მოწმობს იმას, რომ მათ არ აქვთ კარგად მოფიქრებული და დაწვრილებით დამუშავებული სოოპერაციო გეგმა. უკანასკნელის შედგენის დროს, ჩვენი სამეურნეო ორგანოების ხელმძღვანელები ხშირად ემყარებიან პირად სურვილებს, და არა რეალურ შესაძლებლობას. ჩვენი ქვეყნის სამეურნეო ცხოვრების მომწესრიგებელ ნორჩ ორგანოებს მართებთ განსაკუთრებული სერიოზული ყურადღება მიაქციონ ჩვენი პრაქტიკის ამ მხარეს და ჩვენი მისწრაფებები დაუკავშირონ ამა თუ იმ ეკონომიურ რაიონის საერთო სამეურნეო გეგმას.

მაგრამ ყველაზე უმთავრესია თვით სავაჭრო ორგანიზაციების შინაგანი მუშაობა. უკანასკნელ წელში კოოპერაციის და სახელმწიფო სავაჭრო აპარატის მიერ ბევრი რამ არის გაკეთებული ჩვენი სავაჭრო პრაქტიკის გამოსწორების მხრივ, მაგრამ ყველაფერი კი არა. საჭიროა კიდევ ბევრი მუშაობა. ჩვენ დროებით საშუალება არ გვაქვს გაფართოების.

ჯერ-ჯერობით ჩვენ უნდა მივაღწიოთ შრომის ინტენსიფიკაციას როგორც თვით აპარატის, ისე შიგ მომუშავე პერსონალის დატვირთვის მხრივ. აღებ-მიცემობის სისწრაფე და ზედმეტი ხარჯების უკიდურესად შემცირება—აი საუკეთესო იარაღი ეკონომიური ბრძოლისა კერძო კაპიტალის წინააღმდეგ. მაგრამ იტყვიან, რომ აპარატის უაღრესად დატვირთვისათვის საჭიროა კრედიტი, რომელიც საერთო სამეურნეო პირობების გამო იჩენს შეკვეცის ტენდენციას. ეს მართალია, მაგრამ მხოლოდ მრეწველობის ზოგიერთი დარგების და საკრედიტო დაწესებულებების მხრივ.

თუ ჩვენ გამოვიჩენთ ჩვენი სათამასუქო დისციპლინის განმტკიცების სურვილს და უფრო წესიერად მოვახდენთ ვალის გადახდას, ჩვენ მიუხედავად ჩვენი საერთო სილარიბისა შეგვიძლია იმედი ვიქონიოთ, რომ ჩვენ მივიღებთ უფრო ფართო კრედიტებს წარმოებებიდან, რომელთა პროდუქცია ეძებს საქონლის გამსაღებელ ჯანსაღ გზებს.

[illegible] ხალისების ამოცანები რთულია. საჭიროა მათი გადაჭრა სალათ, რომ არ მოვწყდეთ ცოცხალ სინამდვილეს. ისეთ გარემოებაში წარმატებითი ნაყოფიერი მოქმედებისათვის, გარდა სახელმწიფო ორგანოების დახმარებისა, საჭიროა გაჯანსაღება ჩვენი აპარატის, რომელიც კიდევ არ არის სავსებით მოქნილი. თუ ჩვენ ამ მოქნილობას მივაღწევთ, ჩვენთვის საშიში არ იქნება კერძო კაპიტალის შემოჭრა აღებ-მიცემობაში, რადგანაც ჩვენი პოზიციები უფრო ძლიერია და ჩვენი შესაძლებლობანი უფრო რეალური.

ნ. ამირაგოვი.

მომწიფებული საკითხი

„იზვესტია"-ს წერილი

მოსკოვი. 27 დეკ. „იზვესტია" მოწინავეში ზემოხსენებული სათაურით ამხ. სტეკლოვი სწერს:

„დღეს ჩვენ ვბეჭდავთ საბჭოთა კავშირის ცაკის პრეზიდიუმის დადგენილებას, რომლის თანახმად ცაკის პრეზიდიუმთან იმართება თათბირი საბჭოთა აღმშენებლობის საკითხების განსახილველათ.

მოკლეთ თათბირის ამოცანებს შეადგენს იმ ნაკლულოვანებათა გამორკვევა, რომლებიც ხელს უშლიან საბჭოთა ორგანოების მუშაობას.

სამოქალაქო ომის შეწყვეტის და მშვიდობიან მდგომარეობაზე გადასვლის შემდეგ საბჭოთა მშენებლობის ამოცანები ბუნებრივად გაფართოვდა და ამასთანავე ერთად გაფართოვდა წრე იმ პრაქტიკულ მუშაკთა, რომლებიც ანხორციელებენ ამ ამოცანებს. უპარტიო ფართო მასებს შორის დიდია ლტოლვა იმ მუშაობაში მონაწილეობისაკენ, რომელიც ყველაზე უფრო ეხება მათ საარსებო ინტერესებს, განსაკუთრებით სამეურნეო ინტერესებს. მმართველი კომუნისტური პარტია არა თუ ესალმება მასების ამ პოლიტიკურ გამოღვიძებას, არამედ კისრულობს თავის-თავზე ინიციატივას, ცდილობს გააფართოვოს და გააღრმავოს იგი, რათა სისრულეში მოიყვანოს თავისი მთავარი ამოცანა—ჩააბას ქვეყნის საამშენებლო მუშაობაში რაც შეიძლება მეტი მშრომელი ხალხი, რამდენადაც ამას მოითხოვს სინამდვილე და თვით მშრომელ მასებში პოლიტიკური შეგნების და თვითმოქმედების გამოღვიძება.

ამიტომ, მიუხედავათ იმისა, რომ უკანასკნელ წელს საბჭოთა მშენებლობის აქტიურ მონაწილეთა რიცხვი საგრძნობლად გაიზარდა, ჩვენთვის ეს მაინც ცოტაა. სწორედ ამას ეხება ცაკის პრეზიდიუმის დადგენილება, როდესაც საბჭოთა ხელისუფლების წინაშე მდგომ ამოცანებიდან ის პირველ რიგში აყენებს უპარტიო მუშათა, გლეხთა, ქალთა და მშრომელთა სხვა კატეგორიების საბჭოთა მუშაობაში ჩაბმას, მათ საპასუხისმგებლო პოსტებზე წამოყენებას, საბჭოების მუშაობის გამოცოცხლებას, სახალხო მეურნეობის განმტკიცებას პროლეტარიატის და გლეხობის მჭიდრო კავშირის საფუძველზე.

ამ ამოცანის შესასრულებლად, საბჭოებს უნდა ჰყავდეთ აქტიურ მუშაკთა სათანადო რეზერვი, რომელიც თანაუგრძნობს და დახმარებას უწევს საბჭოებს. საბჭოები უნდა გახდენ საბჭოთა საზოგადოებრიობის იმ ცენტრად, რომელიც ჩვენ თვალწინ იქმნება. ამ დამხმარე ძალების საშუალებით საბჭოები შესძლებენ თავიანთი ისტორიული ამოცანის შესრულებას ჩააბამენ სახელმწიფო მართვა-გამგეობაში და სამეურნეო მშენებლობაში მთელ მშრომელ მასას".

ფაშიზმი იხრწნება

რომი. 20 დეკ. იტალიის პარლამენტის თავმჯდომარის ამხანაგის ფაშისტ-ჯენტის განცხადება გადადგომის შესახებ უარყოფილი იქნა; ამის შემდეგ უკიდურესმა ფაშისტებმა გადასწყვიტეს ბოლო მოუღონ ყოველგვარ ლაპარაკს ნორმალური მდგომარეობის შექმნის შესახებ. უკვე მოწვეული იყო უკიდურეს ფაშისტების საიდუმლო კრებები მოქმედების შესამუშავებლათ, მაგრამ მუსოლინიმ გაითვალისწინა რა პოლიტიკური მდგომარეობა, საჭიროთ სცნო ყოველგვარი ზომების მიღება უკიდურეს ფაშისტების დასამშვიდებლათ ვინაიდან მათი გამოსვლა აუცილებლათ გამოიწვევდა არა მარტო მთავრობისაგან უკანასკნელ ლიბერალების ჩამოშორებას, არამედ განხეთქილებას შეიტანდა ფაშისტების რიგებში.

რათა სალანდრას ჯგუფის ლიბერალებს საშუალება მისცემოდათ დარჩენილიყვნენ მართველ უმრავლესობის რიგებში, ხოლო ლიბირალებ ჯიოლიტის მომხრეებს და ყოფილ სამხედრო პირებს დაბრუნებულიყვნენ პარლამენტში,—ჯენტი აიძულეს ხელახლა შეეტანა განცხადება გადადგომის შესახებ, ხოლო ფაშისტები—მიეღოთ ის განცხადება.

უკიდურესი ფაშისტები ფარინაჩჩი, ბიანკი და ტორრე ხმას აძლევდენ რა გადადგომას, ხაზს უსვამდენ, რომ მათ შეცდომათ მიაჩნიათ გადადგომის მიღება და ხმას აძლევენ მას მხოლოდ იმიტომ, რომ ემორჩილებიან პარტიულ დისციპლინას.

ინგლისის პროფკავშირების დელეგაციის განცხადება

„ჭეშმარიტი დემოკრატიზმი მხოლოდ საბჭოთა კავშირშია"

დელეგაციამ განაცხადა, რომ საბჭოთა კავშირში სწარმოებს დიდი აღმშენებლობითი მუშაობა

„საბჭოთა ხელისუფლების ხელმძღვანელობით საბჭოთა კავშირი სწრაფად ვითარდება ეკონომიურად.—მრეწველობა იზრდება.—მუშების საბინაო პირობები უმჯობესდება. დიდი მუშაობა სწარმოებს წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაციისათვის.—ხელისუფლება ძლიერ ზრუნავს მუშებზე.—საბჭოთა კავშირში იმდენად გაუმჯობესდა მცხოვრებთა მატერიალური პირობები, რომ ის სასურველია ევროპის ხალხებისათვის.

ჭორებს ბოლო მოეღება

ლონდონი. 21 დეკემბერი. ინგლისის ტრედიუნიონების კონგრესის გენერალურმა საბჭომ გამოაქვეყნა საბჭოთა კავშირიდან დაბრუნებულ ტრედიუნიონების დელეგაციის წინასწარი ოფიციალური ცნობა. ცნობაში დელეგაცია, სრული ანგარიშის გამოქვეყნებამდი, შემდეგ ჯამს უკეთებს თავის მუშაობას.

„1. რუსეთის სოციალური, სამრეწველო და ეკონომიური პირობები ძალიან გაუმჯობესდა 1922 წლის შემდეგ, როდესაც ბრიტანეთის დელეგაციამ პირველად ინახულა რუსეთი. ორივე დელეგაციის (1922 წლის და ეხლანდელი) წევრები, და აგრეთვე ავტორიტეტული პირები, რომლებიც სცხოვრობდნენ რუსეთში უკანასკნელი წლების განმავლობაში, ერთხმათ ადასტურებენ, რომ საბჭოთა კავშირში საბჭოთა მთავრობის ხელმძღვანელობით ხდება ჩქარი ეკონომიური აღორძინების პროცესი.

2. ფინანსიური სისტემის სიმტკიცე უფრო ძლიერია, ვიდრე მოსალოდნელი იყო. ბიუჯეტი თითქმის უდეფიციტოა. ქვეყნის მწარმოებელი ძალების აღორძინება ხდება იმ ტემპით, რომელიც შეიძლება შევადაროთ ევროპის მწარმოებელი ძალების აღორძინების საშუალო ტემპს.

3. სამრეწველო წარმოებები მეტათ სწრაფათ ვითარდებიან, განსაკუთრებით ისეთები, რომლებიც ელექტროფიკაციის საქმეზე მუშაობენ. მუშების აღფრთოვანებამ და მუშათა კლასის დიდმა ორგანიზატორულმა ნიჭმა, რომელიც სჩანს სახელმწიფო მეურნეობის ახალ სისტემაში, დიდი შთაბეჭდილება მოახდინა ბრიტანეთის დელეგაციაზე.

4. მუშების საბინაო პირობები სწრაფათ უმჯობესდება. აღმშენებლობის ახალი გეგმა, რომელიც გულისხმობს ინგლისის მუშათა სახლებთან შედარებით გაუმჯობესებული ტიპის პატარა სახლების (კოტტეჯების) აგებას, დიდის ენერგიით და ცოდნით ხორციელდება.

5. გაძლიერებული მუშაობა სწარმოებს წერა-კითხვის უცოდინარობის მოსპობათ. მთელ მრავალფეროვან საგანმანათლებლო მუშაობას მხარს უჭერს და ფინანსიურ დახმარებას უწევს როგორც საბჭოთა მთავრობა, ისე პროფკავშირები.

6. მუშათა კლუბები, გასართობი და დასასვენებელი სახლებიც აგრეთვე გამოყენებულია წერა-კითხვის უცოდინარობის მოსასპობათ; აქ ასწავლიან სხვათა შორის მოზრდილებსაც. ამის გამო, წერა-კითხვის უცოდინართა რიცხვი მუშათა მოსახლეობის შორის მეტათ ჩქარა მცირდება.

7. საბჭოთა მთავრობის დაწესებულებები, რომლებიც განაგებენ უმუშევრობის მოწესრიგების საკითხებს, რომლებიც საექიმო დახმარებას უწევენ მუშებს და მოსამსახურეებს და რომლებიც განაგებენ მუშების ჯანმრთელობის სახელმწიფოებრივი დაცვის საქმეს, რასაც დელეგაციამ მთავარი ყურადღება მიაქცია, კარგათ არიან მოწყობილი და საქმიან მუშაობას აწარმოებენ.

8. სარწმუნოებრივი კულტი სრული თავისუფლებით სარგებლობს. დელეგაციამ დაათვალიერა ეკლესიები და მეჩეთები მღვდელთ მსახურების დროს. ეკლესიები [illegible] და მათ ინახავენ თვით მორწმუნენი. სამღვთო სჯულს არ ასწავლიან არც სკოლებში და არც სხვა საგანმანათლებლო დაწესებულებებში.

9. საბჭოთა მთავრობა ყოველ ღონეს ხმარობს, რომ გააუმჯობესოს საბჭოთა კავშირის ცხოვრების ეთიური მხარე. განმანათლებელი ხასიათის ღონისძიებების და მთავრობის სასტიკი ზომების წყალობით პროსტიტუცია, აზარტული სათამაშოები და სხვა საზოგადოებრივი სნეულებანი თანდათან ისპობა.

10. მუშათა კლუბები, დასასვენებელი სახლები, სასპორტო ორგანიზაციები, ფიზკულტურის ცენტრები და პროფკავშირები დახმარებას უწევენ მუშებს. ეს დახმარება არის ფაქტიური დამატება შრომის ხელფასზე და მას მუშები მეტათ აფასებენ. მთელი რიგი სხვა მნიშვნელოვანი ცვლილებები, რომელზედაც ლაპარაკი იქნება ვრცელ ანგარიშში, მთლიანათ ამართლებენ იმ ტრედიუნიონების და მუშათა პარტიის პოლიტიკას, რომლებიც მოითხოვენ რუსეთის დიპლომატიურ და ეკონომიურ ცნობას.

ანგარიში აგრეთვე დაამტკიცებს, რომ მრავალმილიონიანი კაპიტალი სრულიად უშიშრად შეიძლება დაბანდებული იქნეს რუსეთის უდიდეს ეკონომიურ შესაძლებლობათა განვითარების საქმეში. ანგარიში დაამტკიცებს სრულ სისწორეს იმ განცხადებისა, რომელიც გაკეთებული იყო ბრიტანეთის მუშების სახელით და რომელიც ამბობს, რომ რუსეთში საბჭოთა მთავრობის დროს იმდენათ გაუმჯობესდა რუსეთში მოსახლე ერების ცხოვრების მატერიალური და მორალური პირობები, რომ მას უფლება აქვს მუდმივი ადგილი დაიკავოს ევროპის ხალხთა შორის.

დელეგაციის დავალებით პერსელი და ბრომლეი.

ბერლინი. 21 დეკემბერი. კომპარტიის ორგანო „როტე ფანე" აქვეყნებს საბჭოთა კავშირიდან დაბრუნებული ინგლისის პროფკავშირების დელეგაციის წინასწარ მოხსენებას.

„როტე ფანემ", სხვათა შორის, დაბეჭდა დელეგაციის წევრის—ბენ ტილეტის წერილი რომელშიაც ნათქვამია: „რუსეთში ჩვენ ვნახეთ ნამდვილი დემოკრატია, რომლის პრინციპებიც თანდათან იჭრებიან წარმოებისა და სოციალურ ცხოვრების ყოველ კუნჭულებში. რუსეთის საბოლოო გამარჯვება უზრუნველყოფილია. ყოველი დემოკრატია, რომელიც კი გამსჭვალულია კლასიურ თვითშეგნებით, უეჭველათ უნდა მისდევდეს რუსეთის მაგალითს.

საბჭოთა მშენებლობის საკითხების განხილვისათვის

სრულიად საკავშირო ცაკის დადგენილება

მოსკოვი. 22 დეკ. რათა გამოაშკარავებული იქნეს ყოველგვარი ნაკლი საბჭოთა და სხვა მუშაობაში და შემუშავებული იქნეს საშუალებები ამ ნაკლულოვანებათა თავიდან ასაცილებლათ, საბჭოთა კავშირის ცაკის პრეზიდიუმი ადგენს:

„დაარსდეს საბჭოთა კავშირის ცაკის პრეზიდიუმთან თათბირი საბჭოთა მშენებლობის და საბჭოების მუშაობის გაუმჯობესების საკითხების განსახილველათ.

დაეკისროს აღნიშნულ თათბირს საბჭოთა მშენებლობის სხვადასხვა პრაქტიკულ საკითხების დამუშავება როგორც საბჭოთა კავშირის ცაკის პრეზიდიუმის სხდომების მიხედვით, ისე თათბირის საკუთარი ინიციატივით.

დამტკიცებული იქნას თათბირი ცაკის პრეზიდიუმთან 56 კაცის შემადგენლობით".

მოსკოვი. 22 დეკ. საბჭოთა კავშირის ცაკის პრეზიდიუმმა დაადგინა მოიწვიოს თათბირი საბჭოთა მშენებლობის საკითხების განსახილველათ 1925 წ. 3 იანვარს მოსკოვში.

ლენინგრადი წყალდიდობის მოლოდინში

ციკლონი

ლენინგრადი 22 დეკ. ფინეთის ყურეში 20 დეკემბერს ადგილი ჰქონდა არაჩვეულებრივ ატმოსფერულ მოვლენებს. ბარომეტრმა აჩვენა ზედწოლის მკვეთრი რყევა, ჰაერის ტემპერატურა აღნიშნულია 6,5 გრადუსით. სამხრეთ-დასავლეთის ქარის სისწრაფე შუადღისას უდრიდა 17 მეტრს წამში.

ციკლონი ბალტიის ზღვაზე ემუქრება ლენინგრადს წყალდიდობით.

წყლის მომატება

ლენინგრადი, 22 დეკ. 20 დეკემბერს დილის 5 საათზე წყალმა ნევაზე აიწია 4 ფუტით ორდინარის ზევით (ჩვეულებრივ დონეზე მაღლა). 4 საათზე და 20 წუთზე მიცემული იქნა პირველი გამაფრთხილებელი ნიშანი. 5 საათზე წყალმა აიწია 4 ფუტით და 5 დიუიმით, შეჩერდა ამ დონეზე და შემდეგ დაიწყო შემცირება. წყალი მცირდება.

საშიშროება აღარ არსებობს

ლენინგრადი, 22 დეკ. 20 დეკემბერს საღამოს წყალმა თანდათან დაიკლო.

ინგლისის პროფკავშირების დელეგაცია ლონდონში

დელეგაციის დაბრუნება

ლონდონი, 20 დეკ. მთელი პრესა აღნიშნავს პროფკავშირების დელეგაციის დაბრუნებას.

ზოგიერთი გაზეთები ათავსებენ ცნობებს დელეგატების ბერლინში ყოფნის შესახებ და აღნიშნავენ, რომ ბერლინში დელეგაცია იმყოფებოდა „კომუნისტების ტყვეობაში". რეაქციონური გაზეთი „მორნინგ პოსტ" სწერს, რომ ლონდონის სადგურში „დელეგაციას შეხვდენ კომუნისტები, რომელთა შორის იყვნენ უცხოელები, ებრაელები და რუსები საბჭოთა დაწესებულებებიდან". დელეგატები დაკვირვებით დაათვალიერეს ხელისუფლების წარმომადგენლებმა. მათ ეკითხებოდნენ, ხომ არ აქვთ თან სააგიტაციო ლიტერატურა.

ემზადებიან ბრძოლისათვის

ლონდონი, 20 დეკ. ლიბერალური გაზეთი „მანჩესტერ გარდიენ" ათავსებს წერილს, რომელშიაც აღნიშნავს: „დელეგატებს კრიტიკულად შეხვდება ინგლისის მუშათა მოძრაობა იმ ცნობების მიხედვით, რომლებიც შეეხება მათ გამოსვლებს უცხოეთში. მუშათა ლიდერებს ემჩნევათ გაკვირვება და მღელვარება. ამ თავითვე ხდება მემარჯვენე და მემარცხენე ფრთების ძალების დარაზმვა ინგლისის მუშათა მოძრაობის ორივე ხელმძღვანელ ინსტანციაში—ტრედიუნიონების კონგრესის გენერალურ საბჭოში და მუშათა პარტიის აღმასკომში".

დასასრულ გაზეთს მოჰყავს ვრცელი ინტერვიუ გარრი პელიტთან, რომელმაც განაცხადა:

„ჩვენ ენერგიულად მხარს დაუჭერთ დელეგაციის პოზიციას. ჩვენ ვფიქრობთ, რომ კონფერენცია, რომელსაც ჩვენ ვიწვევთ 25 იანვარს პროფესიონალური მოძრაობის მთლიანობის საკითხის განსახილველად, იქნება პირველი რეალური შესაძლებლობა ინგლისის მუშების მიერ საერთაშორისო მთლიანობის საკითხის განხილვისათვის. ეს კონფერენცია ხელს შეუწყობს იმას, რომ გენერალური საბჭო იძულებული იქნება არა თუ მოიწონოს დელეგაციის ანგარიში მოგზაურობის შესახებ, არამედ კიდეც იბრძოლოს მუშათა პარტიის იმ მემარჯვენე ელემენტების წინააღმდეგ, რომლებიც კულისებს იქით ყოველივე საშუალებით ცდილობენ გააკარწყლონ დელეგაციის მუშაობა".

ინგლისის კომპარტიის განცხადება

ლონდონი. 20 დეკ. „ზინოვიევის წერილის" გამო თემთა პალატაში კამათი გაიმართა. კამათის დროს ინგლისის კომპარტიის პოლიტ-ბიურომ გამოაქვეყნა შემდეგი განცხადება:

1. პარლამენტის არჩევნების წინ ყალბი წერილის გამოქვეყნების შემდეგ, კომპარტიამ გამოაცხადა, რომ უარყოფს მის სინამდვილეს, ხოლო მაკ-მანუსმა, რომელმაც ვითომდა ხელი მოაწერა ამ წერილს და ინკპინმა, რომელმაც ვითომდა ეს წერილი მიიღო, მიმართავს გარეშე საქმეთა სამინისტროს და ყოფილ პრემიერს მაკდონალდს თხოვნით, რათა მათთვის მიეცათ წერილის ფოტოგრაფიული ასლი. მაგრამ ეს თხოვნა უყურადღებოთ იქნა დატოვებული.

2. როდესაც ყოფილ მუშათა მთავრობამ შეადგინა კომისია საქმის გამოსარკვევად, მაკ-მანუსმა და ინკპინმა სთხოვეს ნებართვა თავიანთი ჩვენებების მისაცემათ. ეს თხოვნაც აგრეთვე უყურადღებოთ იქნა დატოვებული.

3. არც მაკ-მანუსი და არც სხვა ვინმე, რომელთაც კავშირი ჰქონდათ კომპარტიასთან, არ ყოფილან მოწვეული ჩვენებების ჩამოსართმევად კომისიაში, რომელიც შედგენილი იყო კონსერვატიულ მთავრობის მიერ. რაც შეეხება ჩემბერლენის მიერ გამოთქმულ აზრს, რომ წერილი მიიღო კომპარტიამ, ხოლო შემდეგ იგი მოსპობილი იქნაო, კომპარტია აცხადებს, რომ ესეც აშკარა სიყალბეა.

თემთა პალატის სხდომები გადადებულია.

ლონდონი. 19 დეკ. თემთა პალატის სხდომები გადადებულია 10 თებერვლამდე.

ბიუკენენის გარდაცვალება

ლონდონი. 21 დეკ. 19 დეკემბერს გარდაიცვალა ბიუკენენი, რომელიც მეფის მთავრობასთან იმყოფებოდა ინგლისის ელჩად.

ჯორჯ ბიუკენენი იყო ინგლისის ელჩი მეფურ რუსეთში. იმპერიალისტური ომის დროს მას დიდი გავლენა ჰქონდა რუსეთის პოლიტიკაზე, რომელიც უკარნახებდა ბრიტანეთის იმპერიალისტების სურვილს. რუსეთის ბურჟუაზია მასში ხედავდა თავის ერთგულ კაცს და მარჯვენა ხელს.

1917 წ. მილიუკოვები და გუჩკოვები ხელიხელჩაკიდებული მუშაობდნენ მასთან ერთად. პეტროგრადზე კორნილოვის გალაშქრების დროს (1917 წ. აგვისტოში) ინგლისის ბრონევიკები ბიუკენენის ბრძანებით მონაწილეობას ღებულობდნენ ველურ დივიზიაში. კერენსკისათვის ბიუკენენის მოთხოვნილებები კანონი იყო. რუსეთის ჯარის 1917 წ. 18 ივნისის შეტევა დაწყებული იყო კერენსკის მიერ ბიუკენენის მოთხოვნილებით. როგორც ვიცით, ეს შეტევა კატასტროფიულად დამთავრდა რუსეთის ჯარისათვის.

ის ყოველთვის ხელმძღვანელი იყო კონტრ-რევოლიუციონური გამოსვლების საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ.

ინგლისის იმპერიალიზმმა მასში დაჰკარგა თავისი ერთი თვალსაჩინო მოღვაწე.

უკანასკნელი ცნობები

„სოციალ-დემოკრატიამ შეასრულა თავისი მოვალეობა"

ბერლინი. 22 დეკემბერი. პროკურორი მოითხოვს ბრალდებულ როთჰარდტისათვის 6 თვის ციხეს პრეზიდენტ ებერტის შეურაცხყოფის გამო. სოციალ-დემოკრატიამ,—განაცხადა პროკურორმა,—იკისრა გაფიცვის ხელმძღვანელობა, რომ ჩაეშალა ის. ებერტი მიტინგზე ტრეპტოვში ლაპარაკობდა არა გაფიცვის გაგრძელების შესახებ, არამედ გაფიცვის წინააღმდეგ. მან ყველა ზომები მიიღო, რომ გაეძლიერებია ქვეყნის თავდაცვა.

ლანდსბერგმა, ებერტის ადვოკატმა, სთქვა: სოციალ-დემოკრატიული პარტია ებერტის მეთაურობით ამოქმედდა ქვეყნის დასაცავად. ებერტმა შეასრულა თავისი მოვალეობა. ამიტომ მტკიცება, თითქო მისი საქციელი არაპატრიოტული იყო, წარმოადგენს მის შეურაცხყოფას.

სოციალ-დემოკრატების შესვლა საგაფიცვო კომიტეტში აუცილებელი იყო, რადგან საჭირო იყო ზეგავლენის მოხდენა მემარცხენე ელემენტებზე.

ებერტი ცდილობდა არა მარტო იმას, რომ ჩაეშალა გაფიცვები სამხედრო მასალების ქარხნებში, არამედ მიზნად ისახავდა შეუძლებელი გაეხადა საერთოდ გაფიცვები ომის დროს.

კაპიტალის ტყვეების განთავისუფლება.

ბერლინი. 22 დეკ. ერიხ მიუზამმა და ბავარიის საბჭოთა რესპუბლიკის სხვა მოღვაწეებმა, რომლებიც ამნისტიის ძალით გაანთავისუფლეს, მიმართეს მისალმებით გერმანიის მუშათა კლასს. მისალმებაში ნათქვამია: „ჩვენ მოხარული ვართ, რომ 6 წლის პატიმრობის შემდეგ კვლავ გვეძლევა საშუალება ჩავდგეთ მებრძოლი პროლეტარიატის რიგებში. ისე როგორც 6 წლის წინათ ჩვენ ვიბრძოდით გერმანიის მუშების განთავისუფლებისათვის და არ დაგვიკარგავს ეს რწმენა ციხეში ყოფნის დროსაც, ისე ახლაც ჩვენ ვუერთდებით მებრძოლი პროლეტარიატის რიგებს, რომ შევუტიოთ კაპიტალსა და იმპერიალიზმს".

ტახტზე დაობენ.

ბერლინი. 22 დეკ. ბერლინში გაიმართა რუს-მონარქისტების საიდუმლო თათბირი, რომელსაც ვრანგელიც დაესწრო. თათბირის მონაწილენი სასტიკად ილაშქრებდენ „დიდი მთავრის" კირილე ვლადიმერის ძის წინააღმდეგ, რომელმაც მიითვისა „ნიკოლოზ ნიკოლოზის ძის უფლებები რუსეთის ტახტზე".

საბჭოთა კავშირი და უცხოეთი

ურთიერთობა სპარსეთთან.

თეირანი. 21 დეკ. დაბრუნდა შვებულებიდან საბჭოთა კავშირის სრულუფლებიანი წარმომადგენელი სპარსეთში შუმიაცკი. მან ინახულა მეჯლისის თავმჯდომარე და გადასცა მილოცვა სპარსეთის სამხრ. ნაწილში ცენტრალური ხელისუფლების დამყარების გამო. მეჯლისის თავმჯდომარემ სთხოვა ამხ. შუმიაცკის—საბჭოთა კავშირის ხალხებს გადასცეს გულითადი მადლობა იმ მეგობრულ განწყობილებისათვის, რომელსაც იჩენენ სპარსეთის ხალხისადმი.

პენლევე ამხ. კრასინთან.

პარიზი, 21 დეკ. საფრანგეთის დეპუტატთა პალატის თავმჯდომარე პენლევე ეწვია საბჭოთა კავშირის სრულუფლებიან წარმომადგენელს საფრანგეთში—კრასინს. მათი საუბარი გაგრძელდა საათნახევარი.

საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ.

პრაგა. 20 დეკ. გაზეთი „ლიდოვე ნოვინი“ იტყობინება, რომ სამხრეთ-სლავიის გარეშე საქმეთა მინისტრმა ნინჩმა რომში და პარიზში ყოფნის დროს გამართა მთელი რიგი თათბირებისა საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ სამხრეთ-სლავიის, ბულგარეთის და რუმინეთის ერთიანი ფრონტის შექმნის შესახებ.

გერმანია არჩევნების შემდეგ

ამნისტია

ბერლინი. 20 დეკემბერი ბავარიის მთავრობამ პირობით განთავისუფლა ფაშისტების ლიდერი ჰიტლერი, ფეხენბახი, რომელიც დაპატიმრებული იყო სახელმწიფოებრივ ღალატისათვის (ეს იყო ბავარიის პირველ პრემიერის კურტ ეიზნერის მდივანი) და აგრეთვე ბავარიის პროლეტარულ რევოლიუციის ორი მონაწილე კომუნისტი მიუზამი და ზაუბერი.

ვინ გაანთავისუფლეს?

ბერლინი, 21 დეკ. გამოქვეყნებულია ბავარიის მთავრობის ამნისტიით განთავისუფლებულთა სრული სია. ესენი არიან: ჰიტლერი, კრიბელი, ფეხენბახი, გარგას, ლემბკე, ერისი, მიუზამი, რაუბერი და კარპოლშევსკაია.

ძველი მეთოდით

ბერლინი. 21 დეკ. ახლად არჩეული კომუნისტი დეპუტატი როზენბაუმი დააპატიმრეს ქ. გალეში ყოველგვარ მიზეზების გამოურკვევლათ.

კომუნისტების დევნა პოლონეთში

ამხ. ლანცუცკის დაპატიმრება

ვარშავა, 20 დეკემ. გუშინ ღამით პოლიციის თანამშრომლებმა კომისარ სუხანეკის მეთაურობით დააპატიმრეს კომუნისტი დეპუტატი ლანცუცკი, რომელიც პასუხისგებაში მიცემული სეიმის დადგენილებით. ლანცუცკი მოთავსებულია ვარშავის საპყრობილეში, საიდანაც გადაგზავნილი იქნება პერემიშლის ციხეში.

კაპიტალი ებღაუჭება ხელისუფლებას

მოსკოვი. 20 დეკემ. „როსტა“-ს წარმომადგენელთან საუბრის დროს კომინტერნის აღმასკომის და პოლონეთის კომპარტიის ცეკას წევრმა ამხ. ბოგუცკიმ განაცხადა შემდეგი:

„იერიშები კომპარტიის წინააღმდეგ, რომლებიც ძალიან გაძლიერდა ამ უკანასკნელ დროს, აიხსნება იმ უზომო კრიზისით, რომელსაც განიცდის ამ ჟამად პოლონეთის კაპიტალისტური მეურნეობა. ბურჟუაზიის ბრძოლაში პროლეტარიატის წინააღმდეგ პოლონეთის სოციალისტური პარტია, ბუნდი და სხვა შემთანხმებელთა პარტიები, როგორც ყოველთვის, ბურჟუაზიის მხარეზე არიან. კომპარტია, რომლის გავლენა მუშათა მასებზე დღითი დღე ძლიერდება, აუცილებლად ხდება მუშათა კლასის ერთად ერთ ხელმძღვანელად და ამითვე—ბურჟუაზიის და მთავრობის ყველაზე უფრო საშიშ მტრად. აი, აქედან გამომდინარეობს ის სიძულვილი, რომელსაც იჩენენ [illegible] კომუნისტ-დეპუტატების წინააღმდეგ.

პოლონეთის მთავრობის ახალი იერიშები მიმართულია მთელი კომპარტიის წინააღმდეგ მისი ლეგალური წარმომადგენლების სახით. მაგრამ ამ წარმომადგენლებს პერსონალურად მიუძღვით „შეცოდება“ პოლონეთის ბურჟუაზიის წინაშე, რადგანაც ისინი იყვნენ ერთად ერთი დეპუტატები, რომლებიც ამჟღავნებენ „დემოკრატიული“ პოლონეთის ციხეების საშინელებას.

ეხლა მთავრობას სურს საბოლოოდ ციხეებში ჩასჭედოს მუშათა კლასის ერთად-ერთი ჭეშმარიტი წარმომადგენლები. მაგრამ ვერავითარი ციხე და რეპრესიები ვერ მოდრეკს პოლონეთის მუშათა კლასის და გლეხობის რკინის ნებისყოფას, რომელიც მიმართულია მათი განთავისუფლებისაკენ. დაპატიმრებულების ადგილზე პოლონეთის მუშათა კლასი წამოაყენებს ახალ მებრძოლებს კომუნიზმის გამარჯვებისათვის“.

მენშევიკების წინააღმდეგ

ბერლინი. 19 დეკ. კომპარტიამ მოაწყო საპროტესტო მიტინგი მაგდებურგში, სადაც ირჩევა ებერტის შეურაცხყოფის საქმე. მიტინგზე მონაწილეობა მიიღეს სოც.-დემოკრატმა მუშებმა. მიღებულ რეზოლიუციაში სასტიკად გაკიცხულია სოციალ-დემოკრატების გამყიდველობა 1918 წელს, განსაკუთრებით მათ მიერ როზა ლუქსემბურგის გადაცემა ბურჟუაზიულ სასამართლოსათვის. „ეს პროცესი—ნათქვამია რეზოლიუციაში—უნდა გახდეს გადახრის პუნქტად გერმანიის მუშათა მასებისათვის. მაგდებურგის მუშები მოუწოდებენ მთელი გერმანიის პროლეტარიატს დასტოვონ სოციალ-დემოკრატიის რიგები“.

ამიერ-კავკასიის ფედერაციაში

საქართველო

აჭარისტანში

პროფკავშირების მეხუთე კონფერენცია.

ბათომი. 20 დეკ. დღეს გაიხსნა აჭარისტანის პროფკავშირების მეხუთე კონფერენცია.

კომუნალურ მეურნეობის შუამდგომლობა.

ბათომი. 20 დეკ. კომუნალურ მეურნეობის კოლეგიის მიერ სა.ქ. სახ. კომისართა საბჭოს წინაშე აღძრულია შუამდგომლობა, რომ მის სასარგებლოდ გადაირიცხოს ხოლმე საზღვარგარეთ გატანილ ნავთის პროდუქტების გადასახადის 20 პროცენტი.

მუშათა ტეხნიკუმის გაუმჯობესება

ბათომი. 20 დეკ. მუშათა ტეხნიკუმის მიერ რესპუბლიკის ქიმიურ საზოგადოების საბჭოსგან მიღებულია თანხები ფიზიკურ კაბინეტის მოსაწყობათ.

შაქრის კრიზისს ბოლო მოეღო

სოხუმი. 20 დეკ. მიღებულია შაქრის ახალი პარტია. ამგვარად შაქრის ნაკლულევანებას ბოლო მოეღო.

სომხეთი

ბრძოლა სიფილისთან

ლენინაკანი. 20 დეკ. სიფილისთან საბრძოლველად ლენინაკანის მაზრაში აღმასკომმა გადასდო 2.000 მან.

„ფუხარა“-ს მე-1000-ე ნომერი

ბათომი, 21 დეკემბერს გამოვიდა ქართული გაზეთის „ფუხარა“-ს მეათასე საიუბილეო ნომერი. აჭარისტანის ცაკმა რედაქცია დააჯილდოვა წითელი შრომის დროშის ორდენით. თანამშრომლებმა დუმბაძემ, პაპავამ, სიხარულიძემ, ნუცუბიძემ და მუშკორმა ხოზრევანიძემ მიიღეს წითელი ჟურნალისტის სახელწოდება.

მუშებმა გაზეთის საპატივცემლოთ მოაწყვეს საზეიმო საღამო. მუშკორებს: ხოიძეს, ხიმშიაშვილს, სარიშვილს, ლორიას, მგელაძეს, მ. გოგუაძეს, კიკნაძეს, ქლენტს და რამიშვილს მიეცათ საიუბილეო ნიშნები.

ბანკეტს დაესწრნენ ს. კ. პ. აჭარისტანის კომიტეტის მდივანი ქოლობერიძე, საქართველოს პროფსაბჭოს მდივანი ყურულაშვილი, აჭარისტანის პროფსაბჭოს მდივანი ფირალოვი და სხვა ამხანაგები.

კომანდო გოგელიას გარდაცვალება

გუშინ ფსიქიატრულ საავადმყოფოში გარდაიცვალა საქართველოში, საბჭოთა კავშირში და დასავლეთში ცნობილი, ანარქისტ-კომუნისტების ძველ იდეურ მოძრაობის ერთ-ერთი ლიდერთაგანი კომანდო გოგელია (ორგეიანი).

უკანასკნელ 9 წლის განმავლობაში ის იყო ავად და სცხოვრობდა ქუთაისში და მხოლოდ შარშან გადმოყვანილი იქნა თბილისში.

გარდაცვალებულ გოგელიას ამხანაგები უწოდებდენ მას კრაპოტკინის მარჯვენა ხელს, იმდენად ძლიერი იყო მისი გავლენა ძველ ანარქისტულ ჯგუფებში, რომლებიც, მართალია თავისებური გზით, მაგრამ მაინც ემსახურებოდენ დასავლეთის მუშათა მოძრაობას ოქტომბრის რევოლიუციის წინამორბედ პერიოდში.

გოგელია იყო მთელ რიგ შრომების ავტორი. ეს შრომები ეხებიან რევოლიუციონურ-ანარქისტულ მოძრაობას; რედაქტორობდა მრავალ ჟურნალ-გაზეთებს; ტფილისში ის რედაქტორობდა ანარქისტულ ჟურნალს, რომელიც თავს ესხმოდა მენშევიკებ და ფედერალისტებს.

უკანასკნელებზე გოგელია განსაკუთრებულ გავლენას ახდენდა და ნაწილობრივ ამ გავლენით მომზადებული იქნა ქართველ მემარცხენე სოც.-ფედერალისტების განცხადება კომპარტიაში შესვლის შესახებ.

1905—1906 წ. წ. გოგელია იღებდა უახლოეს მონაწილეობას საქართველოს რევოლიუციონურ მოძრაობაში. უკვე მაშინ სერიოზულ უთანხმოებას ჰქონდა ადგილი კომუნისტებთან, მაგრამ მისი არაჩვეულებრივი პოლემიკური ნიჭის წყალობით ის უაღრესი პატივისცემით სარგებლობდა.

მას ახლოს იცნობდა ამხ. ბუხარინი, არა ნაკლებ იცნობდა მას ამხ. ლენინი.

სხვათა შორის ამხ. გოგელია ჩამოვიდა რუსეთში ერთ-ერთ დაპლომბილ მატარებლით, რომლითაც მაშინდელ ლენინგრადში ჩამოვიდა ლენინიც.

გოგელიას გავლენა ჰქონდა საფრანგეთის რევოლიუციონურ-სინდიკალისტურ მოძრაობაზე.

იმპერიალისტურ ომის წლებში გოგელია დაშორდა კრაპოტკინს და იცავდა რევოლიუციონურ მოძრაობის ინტერნაციონალურ ხასიათს. კრაპოტკინი კი, როგორც ვიცით, „ობორონცად“ დარჩა.

უკანასკნელ ხანებში გოგელია აღარ ღებულობდა მონაწილეობას საზოგადოებრივ ცხოვრებაში.

ჩვენმა თანამშრომელმა ამიერკავკასიის სამეცნიერო ასოციაციის მდივან ამხ. როგდაევთან და უხუცეს რკინისგზელ — ამხ. ოქუაშვილთან ერთად ინახულეს გუშინ ფსიქიატრიული საავადმყოფო, სადაც გოგელია გარდაიცვალა. ამხანაგებმა ძლივ-ძლივობით იცნეს [illegible] გოგელია, იმდენად შეცვლილი იყო მისი სახის გამომეტყველება ავადმყოფობის და სიკვდილის გამო.

უკანასკნელად ჩვენ გვაცნობეს, რომ საქართველოს სახ. კომისართა საბჭომ იკისრა ძველი რევოლიუციონერის დაკრძალვის ხარჯები.

ფ.

სოფლის პარტ-უჯრედების გაფართოებული თათბირი

20 დეკემბერს სასოფლო კომისიის პრეზიდიუმის მონდობილობითი პირველი კრება სოფლის უჯრედების წარმომადგენლებისა გახსნილად გამოაცხადა ამხ. ფილიპე მახარაძემ.

ამხ. ფ. მახარაძის სიტყვა

ამხანაგებო! მე მგონია თქვენ უკვე იცით ჩვენი დღევანდელი ამოცანები სოფლად. ამ უკანასკნელ დროს ამ საკითხის შესახებ ბევრი იწერება როგორც ჩვენ გაზეთებში, ისე ცალკე ცირკულიარებში და ყველგან ხაზგასმით არის აღნიშნული, რომ სოფელს უნდა მივაქციოთ განსაკუთრებული ყურადღება, შევისწავლოთ გლეხ-კაცობის მდგომარეობა, რათა ისინი დავიახლოვოთ და დავიკავშიროთ. თქვენთვის სრულიად ზედმეტია ლაპარაკი იმის შესახებ, თუ რამდენად არის საჭირო გლეხკაცობის დაკავშირება ქალაქის მუშებთან და ამავე დროს ჩვენს პარტიასთან. მაგრამ, როგორც ვიცით, ეს ამოცანა ჯერ კიდევ არ არის სავსებით შესრულებული. რასაკვირველია, როდესაც ჩვენ დღეს ვიკრიბებით აქ, უნდა ვიკითხოთ, თუ რამ გამოიწვია ეს და ამასთანავე ვსთქვათ ისიც, რომ რაც ვწერთ, ვლაპარაკობთ არ დარჩეს მარტო სიტყვათ, არამედ ის საქმედ ვაქციოთ.

სხვათაშორის მე მაგონდება ამხანაგ სტალინის სიტყვები, როდესაც ამ ორი თვის წინად მოხდა ასეთივე თათბირი მოსკოვში. რას ამბობდა ის? როდესაც მან მოისმინა ადგილებიდან მოხსენებები, სთქვა: „ამხანაგებო, ეს მოხსენებები საერთოდ ცუდ შთაბეჭდილებას ახდენენ ჩემზე“-ო. რისთვის? —„იმისათვის, რომ ეს ანგარიშები რაღაც მშრალი და ოფიციალურია იმის სათქმელად, რომ ყველაფერი კარგად არის, ყველაფერი რიგზეა“-ო. რა თქმა უნდა ჩვენც ეს ვერ დაგვაკმაყოფილებს. ამ თათბირზე ჩვენ უნდა ვსთქვათ ყველაფერი სიმართლე.

მეორე დასკვნა, რომელიც გამოიყვანა აქედან ამხ. სტალინმა ეს იყო ის, თუ როგორ მუშაობენ პარტამხანაგები თვითონ უჯრედებში, რა მოხსენებებს აკეთებენ ისინი იქ და სხვა. მაგრამ როგორც გამოირკვა ეს მოხსენებები ხალხის მდგომარეობის და მათი განწყობილების შესახებ არაფერს ამბობენ. აი აქ ჩვენ უნდა ვსთქვათ სიმართლე, რომ ვიცოდეთ ყველაფერი თავიდან ბოლომდე, რომ საქმეს მიუდგეთ სწორედ ისე, როგორც ამას მოითხოვს ჩვენი პარტია და საბჭოთა ხელისუფლება.

ამით ვათავებ ჩემს მიმართვას თქვენდამი და კიდევ ერთხელ ამ ჩვენი კომისიის სახელით გთხოვთ, რომ თქვენს მოხსენებებში, რომლებსაც ჩვენ ვაძლევთ უდიდეს მნიშვნელობას გარკვევით და ნათლად აღნიშნოთ ის, თუ რა ნაკლი გვაქვს, რა გვაწუხებს და როგორ მდგომარეობაშია ხალხი. და რომ შევავსოთ, აღმოვფხვრათ ყველა ნაკლულევანებანი, ამისათვის კიდევ და კიდევ ნამდვილი სიმართლე და გულწრფელობა გვმართებს. (ტაში).

ამხ. ფ. მახარაძის სიტყვის შემდეგ ცოტაოდენი ცვლილებით დამტკიცებული იქნა დღის წესრიგი და რეგლამენტი.

მოხსენებები ადგილებიდან

ამხ. მგალობლიშვილი: ერკეთის კომუჯრედში (ხურგეთის მაზრა) პირველად ირიცხებოდა 100 პარტიის წევრი. მხოლოდ ამ ჟამად 32 კაცამდეა, რადგანაც დანარჩენი გასული არიან სხვადასხვა ქალაქებში და მაზრებში. დარჩენილ ამხანაგებს შორის ინტელიგენცია ძალიან ცოტაა: სულ ორი კაცი. რაც შეეხება კომუჯრედის დამოკიდებულებას რაიონულ კომიტეტთან ის ყოველთვის კარგი იყო. რაიკომი შესაფერის დახმარებას უწევს კომუჯრედს. ერკეთის თემში წერა-კითხვის უცოდინართა ლიკვიდაციის საქმე ვერ სდგას სასურველ ნიადაგზე, რადგანაც მცხოვრებთა მეტ წილს შეადგენენ გლეხები, რომელნიც უმთავრესს ყურადღებას აქცევენ თავიანთ სამეურნეო მუშაობას. საერთოდ უჯრედის სხდომები ამ უკანასკნელ დრომდე ხდებოდა ყოველ კვირაში ერთხელ, ხოლო ამ რამოდენიმე თვის განმავლობაში კი თვეში ორჯერ იმიტომ, რომ გლეხებს სამუშევარი ჰქონდათ. ინტრიგებს, პარტდისციპლინის დარღვევას, ლოთობას და სხვას ერკეთის თემში ადგილი არ ჰქონია არასოდეს. რომ კომუნისტს ჰქონოდა გამდიდრების [illegible] ჩვენში ასეთი შემთხვევა არ ყოფილა. პარტიულ და უპარტიოთა შორის დამოკიდებულება, უნდა ითქვას, ვერ სდგას თავის დანიშნულების სიმაღლეზე. მიზეზი ამისა არის პარტიის და კოოპერატივის საქმის მოუწესრიგებლობა. კოოპერატივი ვერ აკმაყოფილებს გლეხკაცობის მოთხოვნილებას. უჯრედის კრებებზე ესწრებიან უპარტიონიც. კრებებზე იხილება გზის, სკოლის და სხვა საჭირბოროტო საკითხები. ქოხ-სამკითხველოები თემში სულ ორია. აქ მოგვდის სხვადასხვა გაზეთები, მაგრამ სამწუხაროთ ისინი ძალიან იგვიანებენ. საერთოდ კი უნდა ითქვას, რომ გაზეთს ნაკლებათ კითხულობს ადგილობრივი გლეხ-კაცობა, რადგან ბევრი ვერ გებულობს და ბევრმაც კი კითხვაც არ იცის. სკოლები კარგად მუშაობენ მაგრამ გვჭირია 7 სკოლა გვქონდა კი 4-ია, სადაც სწავლობს ორასამდე ბავშვი. ბავშვები სკოლის გარეშეც ბევრია დარჩენილი. სახელმძღვანელოები ძალიან ცოტაა. ქალთა შორის მუშაობა საერთოდ [illegible]. კერძოდ ჩვენს უჯრედში 6 კომუნისტკაა. კომკავშირის მუშაობა კარგად სწარმოებს. მათი უჯრედი აერთიანებს 33 კაცს. ურთიერთ დამოკიდებულება კომუჯრედს და კომკავშირის უჯრედს შორის მჭიდროა. ჩვენში არის გლეხკომიც, რომელიც შეძლებისდაგვარად დახმარებას უწევს ქვრივ-ობლებს. გლეხკომს გახსნილი აქვს სახარაზო, აქვს ჰური და სხვა. რაც შეეხება ადგილობრივ [illegible] უნდა აღინიშნოს, რომ თემში მართალია არის საბჭო, სადაც იხილება ადგილობრივი ხასიათის საკითხები, მაგრამ გაჭირვებული გლეხკაცობა გამოსთქვამს უკმაყოფილებას, რომ მას უხდება 20 და ხან 30-ვერსის სიშორიდან სიარული ჩოხატაურში ჩამოსასვლელად მაგ. ზოდიდან, რადგანაც ჩოხატაურში უნდა გაირჩეს ყველა საქმეები.

ამხ. იმნაიშვილი: (მუხუთის უჯრედიდან) 1923 წლის დასაწყისში მუხუთის უჯრედი ძალიან კარგად მუშაობდა. ხოლო რამოდენიმე ხნის შემდეგ უჯრედს დაეტყო გულგრილობა. თუ კვირაში ერთხელ შევიკრიბებოდით და გავარჩევდით სხვადასხვა საჭირბოროტო ხასიათის საკითხებს შემდეგ ეს საგრძნობლათ მინელდა. უჯრედის წევრთა შემადგენლობა მცირეა და ისიც საკმაოდ მოუმზადებელი, რადგანაც ის ამხანაგები რომლებიც პარტიის პოლიტიკის და პრაქტიკული მუშაობის კურსში იყვნენ სოფლიდან გამოგვექცნენ.

კოოპერაციის საქმე ვერ სდგას თვისი სიმაღლეზე. როდესაც ჩვენ თითონ არ შევდივართ კოოპერატივებში, როგორ შეიძლება ფართე მასები ჩავაბათ კოოპერატიულ მუშაობაში. რაც შეეხება კომკავშირს, ის აწარმოებს აქტიურ მუშაობას ლანჩხუთის რაიონში. მას დაახლოებით 300 წევრამდე ჰყავს. კერძოდ ჩვენს თემში 40 კომკავშირელია, თითქმის ყველა მოწაფეები. ამათში ერთი მესამედი ქალებია. ქალებს შორის მუშაობა საერთოდ არ არის დამაკმაყოფილებელი. ლანჩხუთის რაიონში, მართალია, ხანდახან იკრიბებიან 10—15 ქალი, მაგრამ მათი მუშაობა, რომ მუშაობათ ჩაითვალოს, არ შეიძლება ითქვას. გლეხკომები ჩვენში თითქმის არ მუშაობენ. სხვაგან—ლანჩხუთში, ნიგოითში, ასკანაში კარგათაც მუშაობენ და დიდი ნაყოფიც მოაქვთ. თემში არის საბჭოს თავმჯდომარე. ის ერთდაიმავე დროს არის თავმჯდომარეც, მწერალი, მილიცია, ამკრები და სხვა, ყველაფერია, მუშაობა და წვალებაც ბევრი აქვს, მაგრამ დაბოლოს არაფერია.

მიწის საკითხის შესახებ უნდა აღინიშნოს, რომ მემამულეები ჩვენ არ გვყავდა, რომ მათთვის რაიმე ჩამოგვერთვა. ამ ბოლო ხანებში დავაშრეთ 200 ქცევამდე ტბა, რომელზედაც კამეჩების მეტი ვერაფერი გადიოდა. გასულ წელს ამ ადგილმა მოგვცა კარგი მოსავალი. ეს ორასი ქცევა მიწა ჩვენ გავუნაწილეთ იმათ, რომლებსაც სრული ნორმა არ ჰქონდათ, ვისაც კი ნორმა ჰქონდა, რასაკვირველია, მათ არაფერს ვაძლევდით, რითაც ხალხი ძლიერ კმაყოფილი დარჩა. ლანჩხუთის რაიონში ადმინისტრაციის მიდგომა, დამოკიდებულება ხალხისადმი კარგია. ასე რომ უდიერ ყოფაქცევას ადგილი არა აქვს. სწავლა-განათლების მხრივ მდგომარეობა ასეთია: გვაქვს ერთი შვიდწლედი, ერთიც ოთხწლედი. მასწავლებლობა გვყავს თორმეტი. საუბედუროდ ჯამაგირები მათ თავის დროზე ვერ ურიგდებათ. თემში არსებობს სამკითხველოც, სადაც მოდის დაახლოებით 20 ცალამდე გაზეთი. გლეხების ნივთიერი მდგომარეობა წელს, რასაკვირველია, გაცილებით უკეთესია შარშანდელთან შედარებით. თემში არის საბჭოც 21 კაცის შემადგენლობით ამათგან 9 თუ 10 უპარტიონია. საბჭოს კრებები ივნისამდე თვეში ერთხელ იმართებოდა. [illegible] საბჭოში ირჩეოდა შემდეგი საკითხები: გზების შეკეთების, ყანის გაშრობის, თხრილების გაყვანის და სხვა აღმშენებლობითი ხასიათის საკითხები.

ამხ. ბრეგაძე: (თიანეთიდან) თიანეთის უჯრედი ცენტრიდან დაშორებულია 80 ვერსის მანძილზე. ამ უჯრედის [illegible] 25 [illegible] თიანეთის რაიონში არის მხოლოდ ერთი კომუჯრედი, რომელსაც რაიკომი უწევს სათანადო ხელმძღვანელობას. ეს უჯრედი დაარსებულია 19—20 წლებიდან და მის შემდეგ ის ნელ-ნელა ვითარდება. რამოდენიმე დღეების წინად ჩვენ გამოვიწერეთ სასოფლო-სამეურნეო მანქანები—ტრაქტორები და ამით გადავსდგით ეკონომიურ ფრონტზე დიდი ნაბიჯი. ადგილობრივ მუშაობს ელექტრონიც. კულტურული განათლება-განვითარების მხრივ უნდა ითქვას, რომ ყველაფერი არ არის რიგზე. ხალხი ნაკლებადაა მომზადებული, ბევრმა წერა-კითხვაც არ იცის. კომკავშირი მუშაობს აქტიურად. პარტიული დისციპლინა სასურველ ნიადაგზე სდგას. ლოთობას დღეს ადგილი არა აქვს. ლოთობის საწინააღმდეგოდ უჯრედში ჩვენ ჩავატარეთ კამპანია. რაც შეეხება ინტრიგას, რა გვაქვს გასაყოფი, რომ ასეთი არსებობდეს ჩვენს რიგებში. ჩვენს უჯრედში გლეხები ყველანი ღარიბია, მდიდარსა და კულაკს აქ ადგილი არა აქვს, ყველანი საწყალი და ბეჩავი ხალხია და, რასაკვირველია, გლეხების მიერ ქონების შეძენის სურვილიც არ არსებობს. პარტიულების უპარტიოებთან დამოკიდებულება კარგია, პარტიის ავტორიტეტი მასის თვალში მაღალია და ამის საუკეთესო დამამტკიცებელია სწორედ ის გარემოება, რომ მენშევიკების ავანტიურისტული გამოსვლების დროს 50-მდე უპარტიო გლეხი მოვიდა კომუჯრედში და დღე და ღამ იარაღით ხელში მზად იყვნენ სისხლი დაეღვარათ საბჭოთა ხელისუფლების და კომუნისტურ პარტიისათვის. ამასთანავე არც ერთ გლეხს არ მიუღია მონაწილეობა გამოსვლებში. კომუნისტები ეპყრობიან უპარტიო გლეხებს ისე, როგორც მეზობლებს და ნათესავებს. უპარტიოთა სხდომები თვეში ორჯერ ხდება. ამ სხდომებზე იშლება საკითხები სასოფლო-სამეურნეო ბანკის, ტრაქტორების გამოწერის, მიწის და სხვათა შესახებ. ქოხ-სამკითხველოები თიანეთში ორია. აქ არის წიგნები, გაზეთები, ჟურნალები, მაგრამ თვითონ გლეხები იშვიათად თუ წაიკითხავენ ხოლმე მათ. ისევ ჩვენ თუ წავიკითხავთ და წაკითხულს გადავცემთ სხდომებზე. თიანეთში გვაქვს ერთი დიდი თეატრიც, რომელიც ავაშენეთ 23 წელში. აქ სისტემატიურად ემართებათ წარმოდგენებს, კინოს და სხვა. წერა-კითხვის სკოლა ექვსია, სალიკვიდაციო სკოლა კი 5. გლეხკომებმა დიდი ინიციატივა და ცხოველმყოფელობა გამოიჩინეს სკოლების შეკეთების საქმეში. დიდი კრიზისია სახელმძღვანელოებისა. მოწაფეებს არ აქვთ წიგნები და რვეულები. ქალთა შორის მუშაობა გამოცხოველებულია. მათ აქვთ თავიანთი საკუთარი ორგანიზაცია, ჰყავთ ორგანიზატორი-ქალი. ორგანიზაციაში გაერთიანებულია 6 ქალი. 17 დელეგატ-ქალებია. ისინი ყოველ კვირას იკრიბებიან თავიანთ პოლიტწრეში, სადაც აწარმოებენ სისტემატიურ მეცადინეობას. ქალები ჩაბმული არიან აგრეთვე როგორც კოოპერატივში, ისე საბჭოთა აღმშენებლობის სხვადასხვა დარგის სამუშაოებში. თიანეთში არის ერთი რაიაღმასკომი, რომელიც აძლევს ადგილობრივ საბჭოს დირექტივებს.

რეზოლიუცია სოფლად მუშაობის საკითხის შესახებ

(მიღებულია რ. კ. პ. (ბ) ცეკას პლენუმის მიერ საფუძვლათ და, თანახმად პლენუმის დადგენილებისა, საბოლოო რედაქციით დამტკიცებულია პოლიტბიურომ მიერ)

რ. კ. პ. ცეკას პლენუმი, გამოდის რა მე-13 პარტიული ყრილობის გადაწყვეტილებებიდან სოფლად მუშაობის საკითხის შესახებ, რომლებშიაც აღნიშნულია ამ მუშაობის ყველა მნიშვნელოვანი მხარეების ძირითადი ხაზები (როგორც: პარტიული და საბჭოთა აპარატი სოფლად, სოფლის მეურნეობის აღორძინება, კოოპერაციის და კოლექტივიზაციის ამოცანები სოფლის მეურნეობაში, ღარიბ გლეხთა ინტერესების დაცვა და გლეხკომები, მოჯამაგირეების შეკავშირება და პროფკავშირების მუშაობის განვითარება, სოფლად კულტურულ-განმანათლებელი მუშაობა და მასში სოფლის ინტელიგენციის ჩაბმა, მუშაობა ახალგაზრდა და გლეხის ქალთა შორის, მუშაობა ტერიტორიალურ დივიზიებში და სხვა), და აგრეთვე იღებს რა მხედველობაში პოლიტიკური აქტივობის შემდგომ ზრდას სოფლად, აუცილებლათ სთვლის შემდეგი დამატებითი ინსტრუქციები მიაწოდოს პარტიულ ორგანიზაციებს:

1. გაძლიერებული უნდა იქნეს ხელმძღვანელობის გაწევა სოფლის უჯრედების და სათემო კომიტეტების მუშაობისათვის. ამისათვის განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს სოფლის უჯრედებს მუშაობის შინაარსს. აუცილებელია, რომ უჯრედებმა და სათემო კომიტეტებმა სოფლათ, თავისი წევრების პოლიტიკური აღზრდის საკითხებთან და გლეხთა მასებში (მოჯამაგირეთა და ულარიბეს გლეხთა ფენებში) პოლიტიკურ - განმანათლებელ მუშაობის წარმოებასთან ერთად, სათანადო ყურადღება მიაქციონ სოფლის სამეურნეო და კულტურულ ცხოვრების საკითხებს და სათანადო საბჭოთა და სამეურნეო ორგანოების—კოოპერაციის, გლეხკომების და სხვა ორგანიზაციების მუშაობას. სათემო ბიუჯეტის საკითხებმა, აგრონომიულმა დახმარებამ, მიწათ-მოწყობამ, მელიორაციამ, მესაქონლეობამ, ადგილობრივმა სასამართლომ, სკოლებმა, ქოხ-სამკითხველოებმა, გაზეთების გავრცელებამ და წაკითხვამ და სხვა ყოველდღიურმა საკითხებმა სოფლის ცხოვრებიდან, საბჭოების მუშაობასთან დაკავშირებით და ამა თუ იმ მომენტის ადგილობრივ პირობებთან [illegible] დაიკავონ სოფლის პარტიული უჯრედების და პარტიული კომიტეტების (სათემო და რაიონული კომიტეტების) მუშაობაში, მაგრამ ამავე დროს შეუძლებელია საბჭოების (და აღმასკომების), კოოპერატიული ორგანოების და სხვათა შეცვლა პარტიული ორგანოებით.

ამიტომ აუცილებელია:

ა) ცეკასთან საოლქო და საგუბერნიო კომიტეტებთან (და, სადაც საჭიროა, სამაზრო კომიტეტთან) არსებულ სასოფლო კომისიების მუშაობის სათანადო ნიადაგზე დაყენება; ეს მუშაობა შეძლებისდაგვარათ დაკავშირებული უნდა იქნეს საერთო გეგმასთან.

კომისიებმა უნდა იმუშაონ საოლქო, საგუბერნიო კომიტეტის მდივანის (ან და ბიუროს წევრის) თავმჯდომარეობით.

ბ) „პრავდა“-ში, და აგრეთვე სხვა ცენტრალურ და ადგილობრივ გაზეთებში (სადაც ასეთი ჯერ კიდევ არ არის) რეგულიარულათ მოწყობილი უნდა იქნეს სასოფლო ფურცელი და სხვა.

გ) მოწონებული იქნეს „პრავდა“-ში (და აგრეთვე „ბედნოტა“-ში და „გლეხთა გაზეთში“) სოფლის პარტიული უჯრედების მუშაობის დათვალიერების კამპანიის ჩატარება.

დ) მოწონებული იქნეს ორკვირეული ჟურნალის „სოფლელი კომუნისტი“-ს გამოცემა ხელმძღვანელ პარტიულ კადრებისათვის სოფლად.

2. სოფლის პარტიული ორგანიზაციების მუშაობაში განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა აქვს მათ პირად შემადგენლობას და უპირველეს ყოვლისა ამ ორგანიზაციების ხელმძღვანელთა შემადგენლობას. მომზადებულ პარტიულ ძალების ნაკლებობა სოფლად მოითხოვს კომუნისტების ხშირ-ხშირად გაგზავნას სოფლათ.

ამასთანავე აუცილებელია, რომ განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს ახალი მუშაკების მომზადებას და წამოყენებას თვით გლეხთა წრიდან. პარტიული ორგანიზაციების წინაშე სდგას უდიდესი მნიშვნელობის ამოცანა, რომელიც მდგომარეობს იმაში, რომ სათანადო აღზრდა მისცეთ გლეხთა წრიდან გამოსულ კომუნისტების ახალ ფენებს; პარ[illegible] პოლიტიკური ხელმძღვანელობა უნდა გაუწიონ უპარტიო მოწინავე გლეხების ძალებს, რომლებიც თანდათან იზრდებიან.

ამიტომ აუცილებელია:

ა) მუდმივი ყურადღება იმ საკითხს, რომელიც შეეხება მაზრებში ხელმძღვანელ პარტიულ და სხვაგვარ მუშაობის საწარმოებლად საჭირო მუშაკების მომზადებას (მაგალითად, პასუხისმგებელ სამაზრო მუშაკების სკოლა ცეკასთან და სხვა).

ბ) ზამთრის განმავლობაში მოწყობილი უნდა იქნეს (საგუბერნიო და სამაზრო კომიტეტების მიერ) სხვადასხვაგვარი განმეორებითი კურსები ანდა მოკლევადიანი სკოლები სათემო მდივნებისა, კოოპერატორებისა, მიწა-ტყის მუშაკებისა, კომკავშირის მუშაკებისა, გლეხის ქალთა ორგანიზატორებისა, ქოხ-სამკითხველოებში მომუშავეთა, მასწავლებლებისა და სხვებისათვის, რომლებმაც უნდა მოამზადონ როგორც პარტიული, ისე უპარტიო სასოფლო და სათემო მუშაკები (უპირველეს ყოვლისა თვით გლეხთა წრიდან).

გ) პარტიულ კომიტეტებთან (დაწყებული სამაზრო კომიტეტით და გათავებული ცენტრალური კომიტეტით) ინსტრუქტორთა რიცხვში აუცილებლათ უნდა იყონ გლეხთა წრიდან გამოსული მუშაკები (გლეხის ქალთა შორის მუშაობის საწარმოებლათ კი—გლეხის ქალთა წრიდან გამოსული მუშაკები).

დ) განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს სოფლის კორესპონდენტებს (როგორც პარტიულებს, ისე უპარტიოებს); ამასთანავე მოწყობილი უნდა იქნეს მათი აღრიცხვა და წამოყენება ხელმძღვანელ სამუშაოზე სოფლათ.

ე) თემებში და მაზრებში გაგზავნილი უნდა იქნენ ყველაზე უფრო პასუხისმგებელი მუშაკები (ცეკას და ცენტრალურ საკონტროლო კომისიის წევრები, სახალხო კომისრები, საგუბერნიო აღმასკომების თავმჯდომარეები, საგუბერნიო კომიტეტების წევრები და სხვა) ადგილებზე მუშაობის საწარმოებლათ 2—3 თვის განმავლობაში.

3. მუშაობის გაძლიერება და, კერძოთ, პარტიული ორგანიზაციების [illegible] გაძლიერება სოფლათ მით უფრო აუცილებელია, რომ ეკონომიურ სიმტკიცესთან ერთად იზრდება გლეხთა მთელი მასის პოლიტიკური აქტივობა. გლეხების და განსაკუთრებით უსახსრო გლეხების პოლიტიკური აქტივობის ეს ზრდა პარტიამ უპირველეს ყოვლისა უნდა მიმართოს იქითკენ, რომ გაცხოველებული იქნეს საბჭოების მუშაობა, რომ გაძლიერებული იქნეს საბჭოთა, კოოპერატიული და სხვა ორგანიზაციების მოღვაწეობა. სოფლის საბჭოების მუშაობის გაცხოველების ეს ამოცანა, რომელიც დაკავშირებულია საერთო საკითხთან საბჭოების მუშაობის გაცხოველების შესახებ, ეხლანდელი მომენტის ერთერთი ძირითადი და ყველაზე უფრო მწვავე ამოცანაა.

საბჭოთა წესწყობილების განმტკიცება და ქვეყნის საერთო პოლიტიკური პირობები დაჟინებით მოითხოვენ ამჟამათ იმას, რომ საბჭოებში ფართო გასაქანი უნდა მიეცეს თვით გლეხობის უშუალო თაოსნობას, უპარტიო გლეხები უფრო ფართოთ უნდა იქნენ ჩაბმული საბჭოების მთელს მუშაობაში.

საბჭოების მუშაობის გაძლიერების და გაცხოველების გზით პარტიის გარშემო უნდა შეიქმნეს აქტიურ უპარტიო გლეხთა ფართო კადრები, საიდანაც პარტიამ უნდა ამოკრიფოს საჭირო ძალები და რომელთა საშუალებითაც განმტკიცებული უნდა იქნეს კავშირი და ხელმძღვანელობის გაწევა გლეხთა ფართო მასებისათვის, თვით გლეხთა მასა კი კიდევ უფრო უნდა დაუახლოვდეს საბჭოების მუშაობას, მან კიდევ უფრო უნდა იგრძნოს, რომ საბჭოები მისი მახლობელი და ხელმძღვანელი ორგანოებია და ნამდვილათ უნდა გააცხოველოს საბჭოების მუშაობა.

სოფლის და სათემო (რაიონული) საბჭოების უფლებების და მუშაობის მატერიალურ შესაძლებლობათა გაფართოვება (სათემო ბიუჯეტის შემოღების გამო) და ცხოვრებაში გატარება გადაწყვეტილებისა სათემო მუშაკების მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესების შესახებ ჰქმნიან ისეთ პირობებს, როდესაც შესაძლებელია მუშაობის ფართოთ გაშლა სოფლათ.

ამის გამო საჭიროა რევოლიუციონ[illegible]კათ დაცვა, საჭიროა ბრძოლა ადმინისტრატიულ თვითნებობის და მექრთამეობის ყოველგვარი გამოხატულების წინააღმდეგ, ბიუროკრატიზმის წინააღმდეგ მიმართულ ბრძოლის ყოველმხრივი გაძლიერება და სხვა.

ყველაფერი ეს აყენებს შემდეგ ამოცანებს:

ა) არჩევნების დროს საბჭოებში და აღმასკომში გაყვანილი უნდა იქნეს უპარტიო გლეხების და გლეხი ქალების დიდი რაოდენობა, განსაკუთრებით ისეთი გლეხობის, რომლებიც ავტორიტეტით სარგებლობენ გლეხთა წრეში, რომელნიც უკეთესად გამოხატავენ გლეხობის სულიერ განწყობილებას და რომლებიც სასარგებლო მუშაკები იქნებიან საბჭოებში და აღმასკომებში. საბჭოების უახლოეს რესპუბლიკანურ და საერთო საკავშირო ყრილობებზე გადიდებული უნდა იქნეს უპარტიო გლეხთა წარმომადგენლობა ცაკების შემადგენლობაში არანაკლებ ერთი კაცისა თვითეული გუბერნიიდან (უმთავრესად, იმ გლეხთა წრიდან, რომლებიც უშუალოთ დაკავშირებული არიან მეურნეობასთან). ამასთანავე მათ საშუალება უნდა ჰქონდეთ ნამდვილი აქტიური და ფართო მონაწილეობა მიიღონ ხელისუფლების უმაღლეს ორგანოების მუშაობაში. ასეთივე ღონისძიებები გატარებული უნდა იქნეს ოლქებში, გუბერნიებში და მაზრებში.

ბ) საჭიროა არჩევნების პრინციპის უფრო სისწორით დაცვა და საბჭოების მუშაობაში უკანონო ჩარევის მოსპობა.

გ) უახლოესი ხნის განმავლობაში მთელი რიგი სახალხო კომისარიატების (მიწათმოქმედების, სახალხო განათლების, ჯანსახკომის, შინაგან საქმეთა, სოციალური უზრუნველყოფის, მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახალხო კომისარიატები) კოლეგიები შევსებული უნდა იქნეს 1—2 გლეხი წევრებით (მათ რიცხვში უპარტიოებით), რომლებიც დაკავშირებული უნდა იქნენ სოფლის ფართო ფენებთან.

სასწრაფო წესით მოწვეულნი უნდა იქნენ კოლეგიების წევრებათ გლეხთა წრიდან გამოსული მუშაკები (მათ რიცხვში უპარტიოებიც) სათანადო საგუბერნიო და სამაზრო განყოფილებებში (ადგილებზე); ისინი მოწვეულნი უნდა იქნენ აგრეთვე სათემო, სამაზრო და, თუ შესაძლებელია, საგუბერნიო აღმასკომების [illegible]

დ) სპეციალურ კომისიაში დამუშავებული უნდა იქნეს საკითხი საბჭოების და აღმასკომების მუშაობის გაფართოების შესახებ, რაც უნდა მოხდეს მათთან და აღმასკომების ცალკე განყოფილებებთან სათანადო სექციების, კომისიების, თათბირების დაარსების გზით და ამ საქმეში გლეხ-ქალების დელეგატთა (კადრები) ჩაბმით; ამასთანავე მოწვეული უნდა იქნეს გლეხთა კონფერენციები და ყრილობები.

ე) გაძლიერებული უნდა იქნეს ბრძოლა რევოლიუციონური კანონიერების დამრღვევთა წინააღმდეგ (ადმინისტრატიული თვითნებობა, მექრთამეობა, ბიუროკრატიზმი და სხვა) დამნაშავეთა პასუხისგებაში მიცემით; ამასთანავე დამნაშავენი პასუხისგებაში უნდა იქნენ მიცემული პარტიული წესით და პრესის საშუალებით.

ვ) საბჭოებში, კოოპერაციაში და სხვა ორგანოებში მომუშავე კომუნისტების და უპარტიო ამხანაგების ყურადღება (განსაკუთრებით ამ ორგანოების ხელმძღვანელთა ყურადღება) მუდმივათ მიპყრობილი უნდა იქნეს იქითკენ, რომ პრაქტიკულათ სწორათ იქნეს გატარებული პარტიის და საბჭოთა ხელისუფლების დირექტივები ამ ორგანოების მთელს მუშაობაში (გლეხთა მასის მოთხოვნილებების სისწორით დაკმაყოფილება, დახმარების გაწევა ღარიბ გლეხებისათვის, მოჯამაგირეთა ინტერესების დაცვა).

ზ) დაევალოს სოფლათ მუშაობის თათბირს განიხილოს საკითხი ყაზახების მდგომარეობის შესახებ, განსაკუთრებით იმ რაიონებში, რომლებიც დაზარალდნენ სამოქალაქო ომის დროს; ამ საკითხის განხილვაში მონაწილეობა უნდა მიიღონ ადგილებზე მომუშავე ამხანაგებმა. მუშაობის შედეგები უნდა მოხსენდეს ცეკას შემდეგ პლენუმს.

თ) საბჭოების მუშაობისათვის პოლიტიკური ხელმძღვანელობის გაწევის გაძლიერების მიზნით, გაძლიერებული უნდა იქნეს კომუნისტური ფრაქციების მუშაობა საბჭოებში და ადგილობრივ აღმასკომებში (სათემო და რაიონულ აღმასკომებში), რომლებმაც თავისი მუშაობის ანგარიში რეგულიარულათ უნდა ჩააბარონ თემის და პარტკომის (სათემო და რაიონული პარტკომის) სათანადო უჯრედებს.

4. გლეხთა რაიონებში აგიტაციის და პროპაგანდის სათანადო ნიადაგზე [illegible]რითადი საერთო-პოლიტიკური კამპანიების ჩატარების დროს, როგორც ადგილობრივი, ისე ცენტრალური ორგანოები (პრესაში და საჯარო ადგილებზე გამოსვლით) უნდა სცდილობდენ, რომ ფრთხილათ მოეპყრან გლეხთა ფართო მასების მოთხოვნილებებს, საჭიროებებს და სულიერ განწყობილებას.

ამისათვის საჭიროა:

ა) დამუშავებული იქნეს სპეციალური დირექტივები ადგილობრივი ორგანიზაციებისათვის (განსაკუთრებით, პრესისათვის) იმ საკითხების შესახებ, რომლებსაც, გლეხთა მასის სულიერ განწყობილებასთან არასწორ მიდგომის პირობებში, შეუძლიათ უარყოფითი პოლიტიკური შედეგები მოგვცენ სოფლათ (ასეთია საკითხები მუშათა კლასის და გლეხობის ურთიერთობის შესახებ საკითხი კულაკების შესახებ და სხვ.)

ბ) საერთო-პოლიტიკური კამპანიები (მაგალითად, ბრძოლა მოუსავლიანობასთან, შრომის ნაყოფიერების გადიდება და სხვა) ჩატარებული უნდა იქნეს არა მარტო პარტიის სახელით, არამედ ამავე დროს ჩატარებული უნდა იქნეს სათანადო საბჭოთა ორგანოების, პროფკავშირების, კოოპერაციის და სხვა ორგანოების საშუალებით.

გ) დაწვრილებით შესწავლილი და სისტემატიურათ გამოცემული უნდა იქნეს მასიური ტირაჟით (ნახ. და 1 მილ. და კიდევ უფრო მეტი ეგზემპლიარი) პოპულიარული ბროშიურები და წიგნები, რომელშიაც არა მარტო მხედველობაში მიღებული იქნება ფრთხილი დამოკიდებულება გლეხთა მასების ფსიქოლოგიასთან, არამედ რომლებიც ჯერ კიდევ გამოცემამდი წაკითხული იქნება მთელ რიგ რაიონებში გლეხების მიერ და მოწონებული იქნება გასაგები ენის და მოთხრობის პოპულიარიზაციის თვალსაზრისით.

დ) ყოველმხრივი დახმარება უნდა გავუწიოთ გლეხთა და გლეხის ქალთა წრიდან გამოსულ პოლიტიკურ და პრაქტიკულ მუშაკთა აღზრდას მარქსიზმის და ლენინიზმის საფუძვლებზე. განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს სოფლის კორესპონდენტს. ამისათვის, სხვათა შორის, საჭიროა ის, რომ საბჭოთა კანონებმა და საბჭოთა ორგანოებმა თავის მფარველობის ქვეშ აიყვანონ სოფლის კორესპონდენტები, რომელთა გამამჟღავნებელმა მუშაობამ შეიძლება ძალადობა გამოიწვიოს სოფლის კონტრ-რევოლიუციონერების და კულაკური ელემენტების მხრიდან.

ე) კატეგორიულათ დადასტურე[illegible]კუთრებით ფრთხილათ მივუდგეთ ანტი-სარწმუნოებრივი პროპაგანდის საკითხებს და აუცილებლად უარყოფილი იქნეს ადმინისტრატიული ზეგავლენის ზომები (ეკლესიების დახურვა და სხვა), რომლებსაც უმეტეს შემთხვევაში უარყოფითი შედეგები მოაქვთ.

5. პარტიულ ორგანოებთან ერთად სოფელში მნიშვნელობა აქვთ კომკავშირის ორგანიზაციებს. ამ ორგანიზაციების ზრდა სოფლათ, რომელსაც ეხლა აქვს ადგილი, შეფასებული უნდა იქნეს როგორც უეჭველათ ჯანსაღი მოვლენა. კომკავშირის ორგანიზაციებმა ფართოთ უნდა გაუღონ კარები არა მარტო მოჯამაგირეებს და უსახსრო გლეხებს, არამედ საშუალო გლეხების საუკეთესო, უფრო შეგნებულ ნაწილსაც, რომელმაც კომკავშირი უნდა გაიაროს, როგორც რევოლიუციონური საზოგადოებრიობის მოსამზადებელი სკოლა. ამ შემთხვევაში კომკავშირი განსხვავდება პარტიისაგან, რომელშიაც ასეთ მოვლენას ადგილი არ აქვს. ამასთანავე პარტიულმა ორგანიზაციებმა კიდევ უფრო მეტი ყურადღება უნდა მიაქციონ კომკავშირისათვის პოლიტიკური ხელმძღვანელობის გაწევას, პარტიულმა ორგანიზაციებმა გლეხთა ახალგაზრდობის თანდათან უფრო მეტი შეგნებული და იდეურათ მომზადებული ელემენტები უნდა ჩააბან თავის რიგებში.

ამიტომ აუცილებელია:

ა) კომკავშირის ორგანიზაციების მუშაობის კიდევ უფრო ფართოთ გაშლა იმ სოფლებში, სადაც არიან გლეხთა ახალგაზრდობის რევოლიუციონურათ შეგნებული ელემენტები, რომლებიც ჯერ კიდევ არ არიან ჩაბმული ამ ორგანიზაციებში.

ბ) სწორი ურთიერთობის დამყარება სათანადო პარტიულ და კომკავშირის ორგანიზაციებს შორის, რომელიც უზრუნველყოფს პარტიული ორგანიზაციების მიერ მუდმივი და ნამდვილი პოლიტიკური ხელმძღვანელობის გაწევას.

გ) კომკავშირის საუკეთესო, იდეურათ უფრო მომზადებული ელემენტები მიღებული უნდა იქნენ პარტიულ ორგანიზაციებში, რამაც, სხვათა შორის, უნდა უზრუნველყოს ნაწილობრივ მრავალრიცხოვან პარტიულ ორგანიზაციების მიერ ფაქტიური პოლიტიკური ხელმძღვანელობის გაწევა კომკავშირის უფრო მრავალრიცხოვან ორგანიზაციებისათვის.

მუშათა ცხოვრება

გაზ. „კომუნისტი“-ს მუშკორები ამხ. ვარძიელთან.

შაბათს, 20 დეკემბერს, გაზ. „კომუნისტი“-ს მუშკორებმა ინახულეს იუსტიციის სახალხო კომისარი და რესპუბლიკის პროკურორი ამხ. ვარძიელი, რომელსაც უნდა განემარტა და გაეშუქებინა რამდენიმე საკითხი იმ ზოგიერთ წერილების გამო, რომელიც გაზ. „კომუნისტი“-ს ფურცლებზე დაიბეჭდა მუშათა / კორრესპონდენტის სახით და რომლებიც პროკურატურის საყურადღებოდ იყო გამოქვეყნებული.

სანამ მივიდოდით ამხ. ვარძიელთან, „კომუნისტი“-ს რედაქციიდან ტელეფონით შევეკითხეთ—აქვს თუ არა დრო, რომ მიგვიღოს, რაზედაც მივიღეთ დადებითი პასუხი, მიუხედავათ იმისა, რომ საქმის წარმოება ყველა დაწესებულებებში უკვე შეწყვეტილი იყო.

ბაასის დროს ამხ. ვარძიელმა დიდი სიხარული გამოსთქვა იმის გამო, რომ ჩვენ მოგვიხდა მასთან მისვლა და სხვადასხვა საქმეებზე ლაპარაკი.

— ეს პირველია, რომ თქვენი სახით ჩემთან მუშკორები მოდიან, რაც იმას ამტკიცებს, რომ ჩვენი და თქვენი დაახლოვება, მასასთან დაკავშირება, სასამართლოს ორგანოებთან მეტი მისვლა-მოსვლა და ზოგიერთი გაუგებრობის გამორკვევა იმედს უნდა გვაძლევდეს, რომ შემდეგისათვის უფრო მეტი ნაყოფიერი იქნება ჩვენი მუშაობა. შეიძლება ზოგიერთი ნაკლი ჰქონდეს ჩვენ სასამართლოს და პროკურატურას, მაგრამ იმედია ეს ნაკლი საერთო ძალღონით, ამგვარი ერთი-მეორესთან მისვლა-მოსვლით და მათზე მითითებით გამოსწორდება.

რამდენიმე საჭირო საგნებზე ლაპარაკისა და ბაასის შემდეგ, ზოგიერთ გამოქვეყნებული ცნობების გამო გაზეთ „კომუნისტში“, რომელიც აღნიშნა ამხ. ვარძიელმა, მუშკორები დიდად ნასიამოვნები დავბრუნდით შინ და ჩვენ ყველა განვიცდით დღესაც ისეთ შთაბეჭდილებას, რომ ყველა მუშკორების ცნობას გაზეთის საშუალებით მეტი ყურადღებით მოეპყრობიან ის საბჭოთა ორგანოები, რომლებიც დარაჯად უდგანან მუშათა და გლეხთა ხელისუფლებას.

მაშ, მეტი მხნეობით და ენერგიით გავსწიოთ წინ, ამხანაგებო,—ჩვენი სამსახურია მუშათა კლასის საკეთილდღეოდ.

მუშკორი ყარამანი.

სალამი ლენინგრადის მუშებს!

საქართველოს ს. მ. უ. ს. ტყავ-ტრესტის მუშებისაგან.

საბჭოთა საქართველოს ტყავეულობის ტრესტის მუშა-მოსამსახურენი მხურვალე სალამს გიძღვნით ამხ. ლენინგრადელ პროლეტარებს, როგორც საბჭოთა რესპუბლიკების კავშირის რევოლიუციონურ პროლეტარიატის ავანგარდს!.. ძვირფასო ამხანაგებო! ცხოვრების სიდუხჭირესთან ბრძოლის ცეცხლში გამობრძმედილთ, თქვენ ვერ გაგტეხათ კარზე მომდგარმა სტიქიონურმა უბედურებამ. იცოდეთ, ამხანაგებო, რომ თქვენი ჭირი თუ ლხინი ჩვენთვის განუყოფელია და საერთო, როგორც საერთო და გაუთიშველი იყო, არის და იქნება თქვენის თაოსნობით წარმოებული ჩვენი ბრძოლა მსოფლიო სოციალისტური რევოლიუციის გამარჯვების თვის, მშრომელთა დიქტატურის, ყველა ქვეყნების საბჭოთა კავშირის ასაშენებლად.

წყალდიდობისაგან მიყენებული ტკივილების შესამსუბუქებლად მიიღეთ ჩვენგან მცირედი წვლილი, ზედმეტი ნამუშევარი დღის ხელფასის სახით აღებული 947 მანეთი და ჩვენი წითელი დირექციისაგან დამატებული 53 მანეთი—სულ ათასი (1000) მანეთი...

— დე! იცოდენ მუშათა კლასის ყველა ქვეყნის შავმა ჯალათებმა, რომ ერთის აზრით, ერთის რწმენით გასალკლდევებულს მუშათა და გლეხთა კავშირს ვერას დააკლებს არა თუ მათი შხამ-გესლიანი მტრული სისინი, არამედ ბუნების მკაცრი სტიქიონიც.

გაუმარჯოს წითელი ლენინგრადის რევოლიუციონერ გმირებს!

გაუმარჯოს მსოფლიო კომუნიზმს და მის შტაბს მე-3 კომინტერნს!

ამხანაგურის სალამით საქართველოს ტყავ-ტრესტის მუშა-მოსამსახურეთა მონდობილობით

მუშა ლევან ენუქიძე.

როდის მოეღება ბოლო ამ უბედურებებს.

(რკ. გზის სამმართველოს საუბნო კავშირის საყურადღებოდ)

23-ს ნოემბერს საღამოს 6 საათზე თბილისის რკინის გზის ელექტროსადგურში გასკდა 100 ცხენის ძალ. მანქანის დიზელის თავი. ამას წინედაც კიდევ დაიმსხვრა განჯის ელექტრო-სადგურის მატორი, რომელიც ამოვარდა საძირკვლიდან. ადამიანის მსხვერპლი შემთხვევით არ მოხდა. დამნაშავე მხოლოდ რამოდენიმე თვის დაპატიმრებით გადარჩა. ეს ყოველივე ხდება იმ მიზეზების გამო, რომ საკავშირო საელექტრონო სატეხნიკო დარგში იმყოფება საელექტრონო ნაწილის უფროსად შ. ჩ. ო. ამ შ. ჩ. ო.-ს განკარგულებით და ან მისი ჩქარებით, საცა რიგი არის, ხდება დანიშვნა ისეთ საპასუხისმგებლო ადგილზე მემანქანეების, რომლებსაც სათანადო პრაქტიკა არ გაუვლიათ და ან სრულებით ცოდნა არა აქვთ. ისეთი მიზეზების გამო უბედური შემთხვევები ხშირად ხდება.

საჭიროა ყურადღება მიექცეს, ვინაიდან აფეთქება ხდება სხვადასხვანაირად. ზოგიერთ აფეთქების დროს ხდება შენობის კედლების მინგრევა და ადამიანების მსხვერპლიც.

ამ უთავბოლობას უნდა მოეღოს ბოლო.

ინფორმ. პერო.

სასურველია ვიცოდეთ

(რკ. გზის სამმართველოსა და რკინ. გზის კულტგანყოფილების საყურადღებოდ)

რკინის გზების სამმართველო უმაღლეს სასწავლებელში მყოფ თავის თანამშრომელ სტუდენტობას ერთდროული დახმარების სახით დაჰპირდა 25 მ. დანიშვნას. ხელმოკლე სტუდენტობაში ამ დაპირებამ დიდი აღფრთოვანება გამოიწვია, რადგან ამ ხანებში სწავლის ფული გვქონდა გადასახდელი და სწორედ დროზე გვისწრებდა დახმარება. მაგრამ სამწუხაროდ ეს დახმარება მარტო ქაღალდზე დარჩა და სინამდვილეში კი არავითარი დახმარება არა სჩანს. სასურველია ვიცოდეთ, შეცდომით იყო მოთავსებული ცნობა, თუ ნამდვილად დაჰპირდა დახმარებას სამმართველო რკინის გზებზე მომუშავე უმაღლეს სასწავლებელში მყოფ სტუდენტობას.

ხელს აწერენ ხუთი სტუდენტი.

გამოგზავნილ წერილებიდან

მოგვხედეთ.

(სანიტკომისიის საყურადღებოდ)

მე-10-ე უბანში გოგოლევის ქუჩაზე, სახლი № 4-ში ფანარს არ ანთებენ, რის გამოც ძალიან ბნელა. ხალხს გარედ გამოსვლა ეძნელება. ამას კი დარაჯი ყურადღებას არ აქცევს, თუმცა ფანრის ანთებისათვის მას ნავთი ეძლევა. სარდაფი სავსეა ბინძური სასუქით. ეზოში და აივანზე სდგას აშმორებული წყალი, რაც საშინლად სწამლავს ჰაერს.

ადგილობრივი მუშა.

გაიძვერა სახლის პატრონი უნდა აილაგმოს

(ალმასკომის საყურადღებოდ)

ალაზნის ქ. № 7 სახლის პატრონი მოქ. არუთინოვი დიდი წინააღმდეგია მოსამსახურე მდგმურების დაყენების და ყოველ ღონისძიებას ხმარობს გააძევოს ისინი თავის სახლიდან. ორი თვის წინ მის სახლში ალმასკომმა ერთი ოთახი აკუთვნა წითელარმიელს ს. ხოფერიას მილიციის საშუალებით. მოქ. არუთინოვმა მიმართა ათასგვარ ხრიკებს, მაგრამ რომ ვერას გახდა, სცდილობდა მრავალი შეწუხებით იგი სახლიდან გამოესახლებინა. მოქ. არუთინოვი თავის სახლს ყურს არ უგდებს. წყლის ფულს დროზე არ ჰკრებს, რის გამოც წყალსადენი დაკეტილია და მდგმურებს უხდებათ ერთი ვერსის მანძილიდან წყლის ზიდვა, არც ეზოშია დაცული სისუფთავე. ალაგმეთ ეს თავხედი ადამიანი.

წითელარმიელი ხოფერია.

იურიდიული დახმარება

(ამხ. მუშებს)

— დუშეთის პირველ ჩიხში „ფიქრიგორაზე“ გვიჭირავს ორი ოთახი, მამაჩემს უკავია 30 კვ. არშ., სცხოვრობს ცოლით და შვილით თავის მზრუნველობის ქვეშ, როგორც უნარმოკლებული ის ითვლება „ინვალიდათ“ და ღებულობს პენსიას თვეში (10) მან.

მე და ჩემს ცოლს გვიკავია მეორე ოთახი სივრცით 35 კვ. არშ. ვსარგებლობთ ერთი პატარა სამზარეულოთი. ვმუშაობ სტამბაში მბეჭდავათ 8 ხარისხით და ვღებულობ თვეში 49 მ. 60 კ. გთხოვთ განგვიმარტოთ შემდეგი: 1) რამდენი უნდა გადავიხადოთ ბინის ქირა, 2) ორთავე ოთახის ქირის გადახდა ერთ-ერთს ეკუთვნის და ჩვენთაგან რომელს, თუ ცალ-ცალკე?

3) მეეზოვეს ჯამაგირი, ფარნით განათ., ნაგვის ხარჯები და სხვადასხ. ეზოში შესაკეთებელი ხარჯები რომ ჩვენ გადავიხადოთ ვალდებული ვართ თუ არა?

ი. შახნაზაროვი.

პასუხი:

მამა თქვენი თითოეულ კვადრატიულ არშინზე იხდის 0.4 კაპეიკ., სულ მთელ ბინისას კი 12 კაპეიკ.

თქვენ კი თითოეულ კვადრატიულ არშინზე იხდით ორ კაპეიკს, სულ მთელ ბინისას კი სამ აბაზ ნახევარს (70 კაპ.) და სამზარეულოთი სარგებლობისათვის ბინის ქირის ერთ პროცენტს.

ყველა დანარჩენი ხარჯები, რომელზედაც თქვენ ამბობთ, უნდა გასწიოს თვით სახლის პატრონმა.

შეკითხვა:

მე ვცხოვრობ კაბდეროვის ქუჩაზე № 15 მე-7 უბანში, მიჭირავს ერთი ოთახი სივრცით 36 კვ. არშ. ვართ 5 სული, შრომის ხელფასს ვღებულობ მე-7 ხარისხით 40 მან. ვმუშაობ მთლიან კავშირების საფეიქრო სინდიკატში. ვარ საბჭოთა მოსამსახურეების კავშირის წევრი. ბინის ქირად ოქტომბრის თვის გადამახდევინეს 10 მანეთი, მასთან ვიხდი 5 სულზე წყლის ფულს. რადგანაც ეს ქირა ჩემთვის აუტანელია, ამისათვის გთხოვთ განმიმარტოთ, თუ რამდენი მეკუთვნის გადასახადი ბინის ქირა თვიურად.

მუშა—პაპიაშვილი.

პასუხი:

ბინის ქირად თვიურად თქვენ იხდით ოცდა თერთმეტ კაპეიკს (31 კაპ.)

წერილები პროვინციიდან

თელავის პედაგოგიური ინსტიტუტი

1 ოქტომბრიდან ქ. თელავში გაიხსნა ორწლიანი პედაგოგიური ინსტიტუტი. მსმენელთა უმრავლესობა უღარიბეს გლეხობას ეკუთვნის.

დიდის ენერგიით მუშაობენ, როგორც მასწავლებლები, აგრეთვე თვით მსმენელებიც. მიუხედავად იმისა, რომ დილის 9 საათიდან ისმენენ ლექციებს, 3 საათამდის, კვირაში სამჯერ იკრიბებიან თვით მსმენელები, კითხულობენ რეფერატებს. დიდის ენერგიით მუშაობა თვით გამგე ამ ინსტიტუტისა კოტე გეგელიძე. მას რითაც კი შეუძლიან დახმარებას უწევს და არ ზოგავს არავითარ ენერგიას, მისივე დახმარებით თითქმის ყველა მსმენელებს დანიშნული აქვთ სტიპენდიები, როგორც ადგილობრივი დაწესებულებებიდან, ისე თბილისის განათლების კომისარიატიდან.

მსმენელი.

საჭიროა ექიმი

საპაიჯაოს თემი (ქუთაისის მაზრა)

საპაიჯაოს თემის გლეხობა ექიმის არ ყოლის გამო აუტანელ პირობებში იმყოფება.

დღემდე ჯანმრთელობის განყოფილების მიერ არავითარი ზომები არ არის მიღებული ასეთი მდგომარეობის გამოსასწორებლად, რის გამო ვინ მოსთვლის რამდენი ადამიანი ესალმება სამუდამოდ წუთისოფელს. საჭიროა ყურადღება.

ი. მ—ლი.

ჩქარა სახალხო სახლი გვექნება

ლანირ-ჯაგნის თემი

შ. ელიავას სახელობის ადგილობრივ თემის სახალხო სახლის დამთავრება ამჟამად ჩქარის ტემპით სწარმოებს. თუმცა ამ პატარა თემისათვის ასეთი უზარმაზარი შენობის აგება ძნელი იყო, მაგრამ ხუთას მანეთმა, მთავრობის მიერ მოწოდებულმა, ისე აღაფრთოვანა ადგილობრივი მცხოვრებლები, რომ იგი უკანასკნელ გროშსაც არ იშურებს ამ კულტურულ დაწესებულების დამთავრებისათვის.

გლეხკორი.

ქალ. სურამის თეატრი ინგრევა

იშვიათად თუ მოიპოვება პროვინციაში ისეთი სათეატრო შენობა, როგორიც სურამშია. უზარმაზარი, ნამდვილი თეატრალური გეგმით ნაშენი, რომელიც საუცხოვო სურათს და შთაბეჭდილებას სტოვებს მნახველზე. მაგრამ სამწუხაროა, რომ ეს თეატრი ჯერ დაუთავებელია, და რაც აშენებულია, ისიც უნუგეშო მდგომარეობაშია.

მართალია, ადგილობრივი ხელისუფლება თავისი ბიუჯეტით ამ საქმის ხარჯებს ვერ შესძლებს, მაგრამ ვინ იქნება ისეთი, რომ ყველა ცოტაოდენ დახმარებას არ გაუწევს, თუ კი ვინმე თეატრის დამთავრების ინიციატივას იკისრებს.

ი. გაგოშიძე.

მოაცილეთ სოფელს ასეთი ვაჟბატონი *)

(სოფ. ონტოფო სენაკის მაზრა)

16 დეკემბერს სოფელ ონტოფოში გაიმართა წარმოდგენა. ხალხი მრავლად მოაწყდა წარმოდგენის დარბაზს. ამ დროს აქ შემოვიდა ონტოფოს თემის საბჭოს თავმჯდომარე გალაქტიონ ნადარეიშვილი, ღვინით გალეშილი და რევოლვერ-მოღებული. რევოლვერით ხალხს აშინებდა, ერთხელ კიდეც გაისროლა წარმოდგენის დარბაზში. ქალებმა წივილ-კივილი მორთეს. აბაშის რაიალმასკომის თავმჯდომარის ამხანაგმა გიორგი კოკაბიძემ სთხოვა ნადარეიშვილს დამშვიდებულიყო, მაგრამ ის მასაც რევოლვერით დაემუქრა.

დიდი ვაი-ვაგლახის შემდეგ აბაშის რაიმილიციის უფროსმა გალეშილ ნადარეიშვილს იარაღი აჰყარა.

როგორც ამბობენ, ასეთი საქციელი არ ყოფილა პირველი ნადარეიშვილისათვის და მას ხალხი დაშინებული ჰყავს.

ვიმედოვნებთ, რომ ამ გმირული გამოსვლის შემდეგ ნადარეიშვილს მოაშორებენ ონტოფოს თემს და კომუნისტურ პარტიას.

აბაშელი.

---

*) საქართველოს ცენტ. საკონტროლო კომისიის თავმჯდომარემ უკვე გამოითხოვა საჭირო მასალები ამ საქმის შესახებ და გ. ნადარეიშვილი, პარტიის წევრისათვის დაუშვებელი საქციელის გამო, გამორიცხულ იქნება პარტიიდან.

რა კეთდება სოფლად

ბახვის თემი (გურია)

ბახვის თემი აერთიანებს 7 სოფელს 700 კომლით.

თემში გლეხთა კომიტეტები არსებობს 1923 წლიდან, მაგრამ 1924 წლის ოქტომბრის რიცხვებამდე მუშაობა მოისუსტებდა.

ოქტომბრის თვიდან შევუდექით საქმიანი მუშაობის წარმოებას—მუშაობაში ჩაბმულ იქნა როგორც მშრომელ გლეხობის საუკეთესო ნაწილი, აგრეთვე ჩვენი მასწავლებლობა. მუშაობაში ხელმძღვანელობა აიღო როგორც პარტიამ, აგრეთვე კომკავშირმა.

ხელმძღვანელ ამხანაგების მიერ ჩამოვლილ იქნა თემის შვიდივე სოფელი, გაკეთებული იქნა მოხსენებები გლეხთა კომიტეტების მნიშვნელობის შესახებ.

ადგილობრივ შემოსავლიდან და უბნებიდან შემოსულ საფონდო თანხიდან, თემის გლეხკომმა დაადგინა გახსნას სავაჭრო, საიდანაც გლეხობას უნდა მიაწოდოს საჭირო საგნები და შეისყიდოს მისგან ადგილობრივი სოფლის ნაწარმოები.

ბახვის თემის გლეხკომის განკარგულებაში დღეს არის 7 დესეტინა მამული, სადაც განზრახვა გვაქვს მოვაწყოთ საცდელ-სამაგალითო საჩვენებელი მინდვრები, გავაშენოთ სხვა და სხვა კულტურული მცენარეები.

მასწავლებლობა ჩვენთან ერთად მუშაობს.

ჩვენი მასწავლებლობა ეწევა დაუღალავსა და ენერგიულ მუშაობას.

კ. ა—ძე.

საქონლის ჭირი სოფლად

სოფ. კასპი (გორის მაზრა)

ამას წინად გაჩნდა ციმბირის წყლული საქონელზე. მცხოვრებლები გაუფრთხილებლობის და უფრო კი შეუგნებლობის გამო იტყავებდნენ საქონელს და ხშირად გასასყიდადაც კი გაჰქონდათ ავადმყოფი საქონლის ხორცი. ამის გამო ციმბირის წყლული ხალხსაც გადაედო. ათამდის კაცი სხვადასხვა დროს გახდნენ ავად, რომლითაც ზოგს გატყავების დროს გადასდებიათ ავადმყოფობა, ზოგს კიდევ ტყავისაგან ქალამნების ამოსხმის დროს. ხალხში რწმენაა, რომ ეს ავადმყოფობა მხოლოდ ტკბილეული წამლებით მორჩებაო და დუა-ფუფუები არის მისი წამალი და შელოცვაო. მაგრამ როცა ამ გვარმა წამლებმა ხალხს ვერაფერი უშველა და ავადმყოფობა უფრო გაუძნელდათ, ტელეგრაფით გამოიწვიეს საქონლის ექიმი, რომელმაც მოიტანა თან ციმბირის ჭირის საწინააღმდეგო შრატი და ყველა ავადმყოფს შეუშხაპუნა. ამგვარ წამლობის შემდეგ არც ერთი არ მომკვდარა და ყველანი საჩქაროდ გამოკეთდნენ. ხალხს დიდათ სწამდა ეს წამალი. წინადაც ყოფილა ჩვენში ეს ავადმყოფობა, არა ერთი ადამიანი უმსხვერპლია, ეხლა კი ამ ექიმმა ხალხს თვალი აუხილა და დაარწმუნა, რომ ციმბირის წყლული არც ისე საშიშია, თუ დროზედ მოსწრო ადამიანს და ნამდვილი მისი საწინააღმდეგო წამალი იხმარა. სწორედ დიდი მადლობის ღირსია მიწადმოქმედის სახალხო კომისარიატი მის დამზადებისათვის და გორის ალმასკომი, რომელიც სრულიად მუქთად გვიგზავნის როგორც წამალს, აგრეთვე ვეტ-ექიმს.

გარდა ამისა, უნდა აღვნიშნოთ, რომ რადგანაც ჩვენში უკვე მთელი რაიონი შეიქმნა, სადაც ციმბირის წყლული სტაციონალური გახდა და ყოველ ზაფხულ-გაზაფხულზე იჩენს ხოლმე თავს, რომელიც ადამიანზედ გადადის ხოლმე, ამიტომ საჭიროა, რომ ყოველ გაზაფხულობით ამ რაიონში აიცრას საქონელი, ვიდრე ჭირი სრულიად არ ამოიფხვრება. ეს ციმბირის წყლულის რაიონი გახლავთ ქვემო ქალაქ-იგოეთ კასპი, მდინარე ლეხურას ჩაყოლება. აი ეს რაიონი უნდა აიცრას ყოველ გაზაფხულზე, თორემ რაც დრო გადის ჭირი თან და თან მატულობს და დასასრული არ უჩანს.

შირინპეი.

სასოფლო-სამეურნეო გადასახადის აკრეფა

(წერილი სენაკიდან)

სასოფლო-სამეურნეო გადასახადის აკრეფას სენაკის საგადასახადო სექცია თავის დროზე შეუდგა, თუმცა საგადასახადო ფურცლების ჩაბარება შედარებით ცოტა დაგვიანდა. მთელ მაზრაზე გაწერილია 167 ათასი მანეთი. აქედან პირველ რიგში შესატანი იყო 57 ათასი მანეთამდი. დღემდის შემოსულია დაახლოვებით ორი მესამედი. რომ გადავავლოთ თვალი სასოფლო-სამეურნეო გადასახადის აკრეფის სიძნელეს, დავინახავთ შემდეგს: რასაკვირველია, შარშანდელზე უკეთესად წელს მიმდინარეობდა გადასახადის აკრეფა. ეს აიხსნება ფულის რეფორმის გატარებით და მანეთის სტაბილიზაციით. მაგრამ წრევანდელი გადასახადის აკრეფას ხელს უშლიდა ფულის ნიშნების უქონლობა; სოფლის ნაწარმოებს ჩვენ ჯერ კიდევ ვერ უშოვნეთ ბაზარი. მაგ. სიმინდის ფასი დღეს ისე დაწეულია, რომ თუ მას დააკისრა მიწის მუშამ გადასახადის გადახდა, ფუთი სიმინდი უნდა გაიყიდოს 50 კაპ. და ეს კი პირდაპირ დასცემს მის მეურნეობას. ხოლო არც პირუტყვსა და სხვა ნაწარმოებს აქვს ხელსაყრელი ბაზარი. სწორედ ამ გარემოებამ დააბრკოლა გადასახადის აკრეფა და ის ნელის ტემპით მიმდინარეობს.

კოოპერატივები აქ უძლურნი აღმოჩნდნენ დახმარებაში გლეხობისადმი. მათ ვერც მიაწოდეს რაიმე გლეხობას გადასახადის გადასახდელად და ვერც უშოვნეს ბაზარი მათს ნაწარმოებს. ოდნავ წაეხმარა გლეხებს გადასახადის გადახდაში სასოფლო-სამეურნეო ბანკის განყოფილება, რომელმაც გადასახადის აკრეფის დაწყებამდი მოასწრო მცირეოდენი თანხის გასესხება.

ბ. უ—ლი.

პროვინციის ქრონიკა

— **მიუხედავათ შუაგულ ზამთრისა**, მშვენიერი, ამინდებია, რაც ხელს უწყობს ხვნა-თესვას. გლეხებს გამუდმებით გუთანი უბიათ. ეხლავე მშვენიერი ჯეჯილებია, რასაც იმედით უყურებს გუთნის დედა.

— **კურდღელაურში** (თელავის მაზრა) გაჩნდა საქონლის ჭირი. უკვე მიღებულია ზომები სენის წინააღმდეგ საქონლის აცრით.

— **თელავის პროფკავშირთა ბიუროს** კულტკომმა გაცხოველებული მუშაობა დაიწყო, ყოველ კვირა-ხუთშაბათობით აწყობს ლექციებს, წარმოდგენებს, სცემს კედლის გაზეთს და სხვა.

— **საქსოვი ქარხანა.** ცხინვალის ქალთა განყოფილებამ გახსნა საქსოვი ქარხანა. უკვე მუშაობს ოთხი დაზგა.

— **ლიუქსემბურგის** სასოფლო გლეხკომმა როსტოვში შეუკვეთა 20 ძალიანი ტრაქტორი.

— **სოფლის მასწავლებლების** მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით, ლიუქსემბურგის გლეხკომმა გადასდო 2000 მ.

— **ფართლეულობა გლეხებს.** 1924 წლის განმავლობაში სოც. უზრ. სახ. კომისარიატის თაოსნობით რესპუბლიკის სხვადასხვა გლეხკომებს მიეცათ ნისიათ 400 ათასი მან. ფართლეულობა.

— **ახალციხის მაზრაში** ამჟამად სწარმოებს შემოწირულების შეკრება ლენინგრადის პროლეტარიატის სასარგებლოდ.

— **ტყის გამოკვლევა.** მიმდინარე წლის განმავლობაში ახალციხის და გორის მაზრებში გამოკვლეულ და აღწერილია 94,882 დესეტინა ტყე.

ქრონიკა

— **ამხ. მიხა ცხაკაიას სახელობის** საავადმყოფოსათვის ახალციხეში ადგილობრივ ალმასკომს ცაკმა გადასცა 9483 მან.

— **ფშავ-ხევსურეთში სოფ.** მაგარის კარში ჯანსახკომმა გადასწყვიტა გახსნას კბილის საექიმო კაბინეტი.

— **საქ. ცაკმა** დაარსა თბ. გლეხთა სახლის გასახსნელათ კომისია ამხ. თოდრიას თავმჯდომარეობით.

— **აღ. საქ. საოლქო** სასამართლოს წევრებათ დაინიშნენ ამხ. ამხ. ლეკიშვილი და ჩოდრიშვილი.

— **„არაზინდოს“ მოწყობის** საქმეში მხურვალე მუშაობის თვის ამხ. შირიაევი საქ. ცაკმა დააჯილდოვა შრომის ორდენით.

— **სადივიზიო პარტიული კონფერენცია.** ოთხშაბათს, დილის 10 საათზე წითელარმიელთა ცენტრალურ კლუბში გაიხსნება 1-ლი ქართ. დივიზიის მეოთხე პარტიული კონფერენცია.

— **ოთხთვიური გეგმები.** 1-ლი დივიზიის პოლიტ-განყოფილება ამჟამად მუშაობენ იანვარ-აპრილის ოთხთვიური სამუშაო პროგრამების გამოსამუშავებლათ. პროგრამები გამოვა ბიულეტენების სახით.

— **მზადება ყრილობისათვის.** ქართულ ჯარის ნაწილების კლუბები ამჟამად აწარმოებენ სათანადო მუშაობას მომავალ სამხედრო-სამეცნიერო ყრილობისათვის.

— **გლეხთა სასახლე** იანვრის ბოლო რიცხვებში თბილისში მოხდება გლეხთა სასახლის საზეიმო გახსნა. სასახლე გაიხსნება ყოფ. სასტუმრო „ლონდონში“ ალექს. ბაღის პირდაპირ.

— **გლეხთა კომიტეტების ყრილობა.** იანვრის ბოლო რიცხვებისთვის თბილისში შესდგება სრულიად საქართველოს გლეხკომის ყრილობა.

— **მიწად-მოქ. სახ.** კომისარიატის ხარჯთ-აღრიცხვით 1925 წელში ტყეების მოსაწყობათ გადადებულია 10 ათასი მან.

— **აგრო-პროპაგანდის ჩასატარებლათ** საქართველოში მიმდინარე წელს დაიხარჯა 2500 მან.

— **მეაბრეშუმეობისათვის.** მიწად-მოქ. სახ. კომისარიატის სასოფლო-სამეურნეო განყოფილება შეუდგა საქ. მეაბრეშუმეობის შესახებ შეგროვილ მასალების დამუშავებას.

— სვანეთში საექიმო პუნქტისათვის თეთრეულების შესაძენათ გადასდო საჭირო თანხა.

— **უზენაეს სასამართლოს** წევრათ ცაკის დადგენილებით დაინიშნა ამხ. შომახია.

— **საქ. ცაკმა დაამტკიცა** ქ. ალმასკომის დებულება.

— **არდადეგები უმაღლეს სასწავლებლებში.** განათლების კომისარიატის დადგენილებით სახელმწიფო უნივერსიტეტსა, პოლიტეხნიკურ ინსტიტუტსა, სამხატვრო აკადემიასა და მუშათა ფაკულტეტებში დაწესებულია საზამთრო არდადეგები ორი კვირით—1—15 თებერვლამდე.

— **დამზღვევ კასის** შემოსავალი ნოემბერში უდრის 153,513 მან.

— **დროებით შრომის** უნარ-დაკარგულებზე დამზღვევ კასამ ნოემბერში დახმარების სახით 41,719 მან.

— **ალექსანდრეს ბაღის დაკეტვა.** ქ. კომუნალურ განყოფილებამ დაადგინა დაკეტოს ალექსანდრეს ბაღი გაზაფხულამდე ბაღის შეკეთების მიზნით.

— **ორთაჭალის მამულების** საჭიროებისათვის ქ. ალმასკომმა კომუნალურ განყოფილებას სესხათ მისცა 5000 მან.

შემთხვევები:

— შეპყრობა. 20 დეკ. ღამით შეიპყრეს ბორის რეზენკელი ნაქურდალი ნივთებით.

— 21 დეკ. დილით შეიპყრეს კარცუროვი ნაქურდალი ტყავის პალტოთი.

— 21 დეკ. შეიპყრეს არშაკ მიკირტუმოვი (უბინაო), რომელსაც შოფერ მანუკიანცისათვის მოუპარავს ავტომობილიდან პალტო.

— ცეცხლი. 21 დეკ. საღამოს 8 საათზე მოსკოვის ქ. № 4, მოქ. შენგელაიას ბინას გაუჩნდა ცეცხლი, რომელიც ჩააქრო ცეცხლის მქრობელმა რაზმმა.

— ამავე დღეს დილით ჯუღაშვილის ქ. № 1, დავით ჯაფარიძის ბინას გაუჩნდა ცეცხლი, რომელიც ჩააქრო ცეცხლის მქრობელმა რაზმმა.

— მტკვარში გადავარდნა. 20 დეკ. საღამოს 7 საათზე მნაცაკანოვის ხიდის მახლობლად მტკვარში გადავარდა ილია ბარათაშვილი (მცხოვ. ანასტასიევის ქ. № 20), რომელიც გადარჩენილი იქნა მეთევზეების მიერ. მიზეზი გამოურკვეველია.

— ცეცხლის მოკიდება. 20 დეკ. დილით მიმოსვლის ქ. № 6, თვითმადუღებლის ანთების დროს ცეცხლი მოედო ნინა ბიბილაშვილისას, რომელსაც ცეცხლი მოედო მთელ ტანზე და დაშავებული სასწრაფოთ გადაგზავნილი იქნა საავადმყოფოში.

— ცეცხლი. 21 დეკ. დილით მუშტაიდში ახალგაზრდათა კომკავშირის კლუბს გაუჩნდა ცეცხლი, რომელიც ჩაქრობილი იქნა ადგილობრივი ძალებით.

— ქურდობა. 20 დეკ. ღამით ფანჯრის მინის გატეხის საშუალებით გაქურდეს (სოლოლაკის ქ. № 10) პაპაიანცის ფეხსაცმელების სახელოსნო, წაღებულია 150 მან. ფეხსაცმელები.

— 19 დეკ. ღამით სოფ. მამუკიანში შაქრო კოშკარაშვილს მოპარეს 3 ცხვარი.

— 21 დეკ. დილით მარტყოფის ჩიხი № 6 გაქურდეს ელენე დანილოვას ბინა, წაიღეს 50 მან. ნივთები.

— 20 დეკ. ღამის 11 საათზე რკინის გზის ლიანდაგის გადაღმა ოისის ქ. გაქურდეს ბოქლომის გატეხის საშუალებით ელენე გოდერძიშვილის ბინა

მეცნიერება და ტეხნიკა

ახალი საშუალება ჭლექის წინააღმდეგ. „სანაკრიზინ“

გ. მიულგორდის ცდები.

დანიის მეცნიერის გოლგერ მიულგორდის უკანასკნელი მეცნიერული გამოკვლევები იძლევიან ჭლექთა ბრძოლის ახალ საშუალებას. მის მიერ ჭლექის წინააღმდეგ გამოგონებულ საშუალებას ეწოდება „სანაკრიზინ“.

მიულგორდმა მრავალი ცდები მოახდინა ცხოველებზე. საქმე იმაში კი არ არის, რომ მოკლული იქნენ ჭლექის ბაცილები, სიძნელე მდგომარეობს იმაში, რომ ჭლექის ბაცილები მოკლული იქმნენ ცოცხალ ორგანიზმში.

სანაკრიზინი წარმოადგენს მტკიცე შენაერთს. ოქრო მასში არის მარილის სახით და ამიტომ მისი სისხლში შეშხაპუნება არ იწვევს ორგანიზმის მოწამვლას ლითონით.

ორგანიზმში სანაკრიზინი გამოჰყოფს ოქროს, რომელიც უერთდება ბაცილებს და ჰკლავს მათ. გამოყოფა სწარმოებს ძლიერ ნელის ტემპით: 4—5 დღის განმავლობაში და მხოლოდ 5—6 დღეს ის სრულიად ჰკლავს ბაცილებს.

ყველა მკვლევარებმა იციან, რომ ის ნივთიერებანი, რომლებიც ჰკლავენ ბაცილებს, ყოველთვის ანთავისუფლებენ შხამს, რომლებიც ამ ბაცილებში არის. რამდენათაც მეტია ორგანიზმში ასეთი ბაცილები, მით უფრო მეტი შხამი გროვდება ორგანიზმში მათი სიკვდილის შემდეგ.

არის შემთხვევები, როცა ავადმყოფი განკურნების გზაზეა, მაგრამ კვდება ბაცილების სიკვდილის შემდეგ განთავისუფლებულ საწამლავისაგან.

ამრიგად, არ არის საკმაო მხოლოდ ბაცილების მოკვლა. ჭლექის საწინააღმდეგო საშუალებამ წინააღმდეგობა უნდა გაუწიოს აგრეთვე იმ შხამს, რომლებსაც ეს ბაცილები გამოყოფენ.

ამიტომ, ჭლექის მკურნალობის დროს, პროფესორი მიულგორდი სანაკრიზინს გარდა სარგებლობს შრატით.

შრატი ამზადებს ორგანიზმში ისეთ ნივთიერებას, რომლებიც აქარწყლებენ ბაცილების მიერ გამოყოფილ შხამის გავლენას.

ამ ორმაგმა მკურნალობამ დადებითი შედეგები გამოიღო. განკურნეს ჭლექით ავადმყოფობის ძლიერ მძიმე შემთხვევები.

ხბოს, რომელსაც სისხლში შეუშხაპუნეს ჭლექის 800—2500 მილიონი ბაცილა, უწამლეს სანაკრიზინით ჭლექით ხელოვნურად დაავადმყოფებიდან ორი კვირის შემდეგ. ამ დროს ხბოს სიცხე 41 გრადუსამდი აუვიდა, პირუტყვი უკვე კვდებოდა, მაგრამ სანაკრიზინმა გამოაბრუნა.

სანაკრიზინით მკურნალობასთან დასდევს ზოგიერთი ავადმყოფური მოვლენები. ზოგჯერ ეს მოვლენები გამოწვეული არიან მოწამვლით, ზოგჯერ კი შხამის შეერთებით—შრატთან. ასე ავადმყოფს ემატება სიცხე, ერევა გული, აღებინებს, აჩნდება ზოგჯერ გამონაყარი. ეს ავადმყოფური მოვლენები სანაკრიზინით მკურნალობის პროცესში თანდათანობით ჰქრებიან. თავისთავად კი, სანაკრიზინი, თუ ორგანიზმში არ არის ტუბერკულიოზის ბაცილები, უვნებელია და არ იწვევს ლითონით მოწამვლას.

ხელოვნება

— **ოსური წარმოდგენა.** სამშაბათს, 23 დეკემბერს. წითელ თეატრში პროლეტკულტის ოსურ სექციის მიერ გამართული იქნება ოსური წარმოდგენა. შესვლა უფასოა.

— **„შპიგელმენში“.** 2 იანვრისთვის მზადდება დასადგმელად ვერფელის პიესა „შპიგელმენში“, (სარკის კაცი). პიესას დგამენ კ. მარჯანიშვილი და ალ. ახმეტელი.

— **ნაძალადევის თეატრში.** დღეს 23 დეკემბერს ნაძალადევის თეატრში შესდგება სახალხო მომღერალის ძუკუ ლოლუას გუნდის კონცერტი, კ. გეგეჭკორის ხელმძღვანელობით.

— **ოპერაში.** დღეს წარმოდგენილი იქნება განათ. მუშაკთა კავშირის მე-4 რაიადგილკომის საურთიერთო ფონდის გასაძლიერებლად: „აიდა“.

— ხუთშაბათს, 25 დეკემბერს მიდის ბალეტი. „კარნავალი“ და „შოპენიანა“ სერგეევის დადგმით

— **დუროვის გასტროლი.** დღეს ცირკში გაიმართება დუროვის პირველი გასტროლი.

— **ახალი კინო.** სახ. კონსერვატორიაში ახლო ხანში გაიხსნება ახალი კინო „აისი“.

— **ქართველ მსახიობთა კოლექტივის** წარმოდგენები გაიმართება ყოველ ოთხშაბათს სახ. ოპერის თეატრში. ამ დღეს კი ოპერის დასი წარმოდგენებს დასდგამს მუშათა ცენტ. კლუბში.

— ოთხშაბათს, 24 დეკემბერს მიდის ქართული წარმოდგენა „სპარტაკი“ ალ. წუწუნავას და კ. ანდრონიკაშვილის დადგმით.

— **დროშა.** გამოვიდა ჟურ. „დროშის“ მორიგი ნომერი (№ 23) შემდეგი შინაარსით: სევასტი თალაკვაძე—„ოჯახი“ გიორგი ლეონიძე—„ჩათლახი“, ვ. გაფრინდაშვილი—„მაქსიმილიან რობესპიერ“, ვ. ბარნოვი—„ძვირფასი თვალი“, ს. შანშიაშვილი—„მათრახის პანაშვიდი“, სერ კლდიაშვილი—„ტამბუკა - დევის კუნძული“, ალი არსენიშვილის—„ვაგნერი, ბაკუნინი, რეკელი“ და სხ. მასალები.

— **ხელოვნების დროშა.** გამოვიდა მორიგი № 7 ჟურნალი „ხელოვნების დროშა“ შემდეგ შინაარსით: ლენინი—ლენინის ანდერძი, ს.—ქართული დრამატურგიისთვის, კ. კაპანელი—ხელოვნების პრობლემები, ა. ვ—ძე ი. ხარდალიშვილი,—ს. ამაღლობელი—გარდამავალი კულტურა, დ. არაყიშვილი -ნ. სულხანიშვილი, ვ. გარრიკი—ვაგნერის მუსიკალური დრამები, ა. დიუვალი—ოპერის კვირეული, ქართული დრამა, ვ. ბ—გ. თახიშვილი, ნუგზარ ერისთავი—ქართველ მხატვართა გამოფენა, დ. ც.—გეორგ გროსი, კინო, რუსული დრამა. პროლეტარული კულტურა, პროფესიონალური მოძრაობა ხელოვნება და სხვ.

ბანდიტიზმის ლიკვიდაცია დუშეთის მაზრაში

ამას წინად ჩვენს გაზეთში მოთავსებული იყო წერილი ყაჩაღ გურგენას შეპყრობის და ყაჩაღ დიანოზას მოკვლის შესახებ. იგინი თითქმის ცხრა წლის განმავლობაში თარეშობდენ დუშეთის მაზრაში და ამტუტებული ჰქონდათ მთელი მხარე. საშინელ ამბებს მოუთხრობენ მათ შესახებ. მათი მხეცობის წარმოსადგენათ მარტო ისიცა კმარა, რომ ოფიციალურათ აღნუსხულია მათგან ჩადენილი 117 მკვლელობა: ამას გარდა მათზე ირიცხება მრავალი ქალის გაუპატიურება და საზიზღარი ველურობა, რომელთა აღწერაც გაზეთის ფურცლებზე შეუძლებელია.

უკანასკნელ დროს განსაკუთრებული ზომები იყო მათ წინააღმდეგ მიღებული და ამ თვის დასაწყისში კიდევაც მოუღეს ბოლო ამ საზიზღარ მხეცებს.

ამ ამბის შესახებ ჩვენს რედაქციაში შემოვიდენ დუშეთის მაზრის გლეხები ამხ. ალექსი ბუკულაშვილი და რევაზ სენაშვილი, რომელთა სიტყვითაც გურგენასა და დიანოზას დაჭერა შემდეგნაირად მომხდარა:

ალექსი ბუკულაშვილი და რევაზ სენაშვილი სოფ. შუახევიდან მოდიოდენ თურმე მუხრანში პარტიულ და ადმინისტრატიულ საქმეებზე. ქადიჯვარსა და მუხრან შუა დიდი ტყეა. დილით ადრე შესულან ტყეში და ერთ ადგილას შეუმჩნევიათ კვამლი. ჩამოხტარან ცხენებიდან და ფეხდაფეხ მიახლოვებიან ცეცხლის ადგილას. შეუმჩნევიათ—გურგენა და დიანოზა მწვადებს შეექცევიან. კიდე უფრო მიპარვიან ახლოს და აუტეხიათ სროლა.

ამ მოულოდნელ თავდასხმით ყაჩაღები დამფრთხალიყვნენ, მიტოვებინათ იქვე თოფები, ნაბადი და გაქცეულიყვნენ. გურგენა დაჭრილიყო ფეხში და მხარში. მაგრამ მაინც მოესწროთ გადამალვა. გზაზე წილკნელი კაცისთვის წაერთმიათ ცხენი. შემჯდარიყო გურგენა და ისე მისულიყვნენ სოფ. „ყუფაში“. იქ ერთ საბძელში მოთავსებულიყო გურგენა. დიანოზა კი გასცლოდა სხვაგან. საბძლის პატრონს არ მოუსურვებია გურგენას დამალვა და უცნობებია მილიციისათვის. მილიცია მაშინათვე დასცემოდა და მცირედი წინააღმდეგობის შემდეგ ხელში ჩაეგდოთ ცოცხალი გურგენა.



ზევით—ყაჩაღი გურგენა გულორაშვილი.

ქვევით: მოკლული ყაჩაღი დიანოზა ბახუევი.

დიანოზას რაკი-ღა გაეგო გურგენას დაჭერა, თვითონაც შეუძლებლად ეჩვენა დუშეთის მაზრაში დარჩენა და გადაეწყვიტა კავკავში გასვლა. მაგრამ სამაზრო ალმასკომის თავმჯდომარე ამხ. ბრეგვაძეს წინდახედულად მოქცეულა და წინასწარათ გაუგზავნია დარაჯები კობის ხევში, რომელსაც გზას ვერ აუქცევს კავკასიისკენ მიმავალი ვინმე.

სამი დღე და ღამის ყარაულობის შემდეგ მართლა შეხვედრიათ დიანოზა იქ. აუტეხიათ სროლა, მაგრამ ყაჩაღს უსარგებლია სიბნელით, დაუღწევია თავი და შეხიზნულა იქვე მახლობელ სოფელში.

ეს ამბავი შეუტყვია მილიციასაც და მოუთხოვნიათ სოფლისთვის, დაუყონებლივ გაეცათ ყაჩაღი. აქ მასპინძელს აღარ დაეყოვნებინა და თავის ხელით მოეკლა დიანოზა.

დაჭრილი გურგენა კი ამ რამდენიმე დღის წინეთ ქალაქში მოჰყავდათ დუშეთიდან. გზაში გაქცევა მოინდომებინა თურმე და მცველებს იქავე მოეკლათ ალაგობრივ.

ამგვარათ დამთავრდა ამ საშინელი მხეცების თარეში სამუდამოთ.

მთავრობის მოქმედებანი და განკარგულებანი

დადგენილება № 42.

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოსი. კოოპერაციის შესახებ

რათა ქალაქისა და სოფლის მოსახლეობა კოოპერატიულად უკეთ დაირაზმოს საწარმოვო და სამომხმარებლო პრინციპის მიხედვით, განმტკიცებულ იქნეს სხვადასხვა სახის კოოპერაცია და თავის წევრებს მაქსიმალურად ხელი შეუწყოს, რათა ამ კოოპერაციათა მოქმედებაში თავიდან აცილებულ იქნეს პარალელიზმი, საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. ჩამოშორდეს სამომხმარებლო კოოპერაციის ცენტრს (ცეკავშირს) სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის პარალელურად მშენებლობის საქმე და ამის უფლება გადაეცეს მარტოოდენ წარმოკავშირს, როგორც სამეურნეო და იდეურად ჩამოყალიბებულ ცენტრს მთლად საქართველოს სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციისას. ამის თანახმად უახლოეს დროისათვის მომზადდეს ნიადაგი ცეკავშირის სისტემაში არსებულ სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივთა წარმოკავშირში ნებაყოფლობითი გადასვლისათვის.

2. წარმოკავშირის საორგანიზაციო მოქმედება მიმართულ იქნეს სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივთა მოწყობისაკენ (ამხანაგობა, არტელი და კომუნა) სპეციალური ნიშნების მიხედვით მევენახეობისა, მეხილეობისა და მებოსტნეობისა წვრილ და მსხვილ მესაქონლეობის (მეცხვარეობა, მეღორეობა, ფრინველთა მოშენება, მერძეობა და სხვა), მებამბეობისა, მეთამბაქოებისა, მეფუტკრეობისა, ჩაის და სხვ. სპეციალურ კულტურათა დარგში.

3. იმ რაიონში, სადაც სოფლის მეურნეობა შერეული ხასიათისაა, მოეწყობა შერეული სასოფლო-სამეურნეო ამხანაგობანი, რომელთაც ხელი უნდა შეუწყონ ამ რაიონის სოფლის მეურნეობის სხვადასხვაგვარ საჭიროებათა დაკმაყოფილებას.

4. სამომხმარებლო კოოპერაციის ძირითად ფუნქციად ჩაითვალოს ქალაქისა და სოფლის მოსახლეობისათვის მოხმარების საგნების მიწოდება. ვიდრე სოფლის მეურნეობა განმტკიცდებოდეს და გლეხობის მყიდველობითი უნარი გაძლიერდებოდეს, ერთიანი მომხმარებელთა საზოგადოება ცნობილ იქნეს შერეული ფუნქციების კოოპერატივად, რომელიც ეწევა როგორც სამომხმარებლო ხასიათის ოპერაციებს, ისე სასოფლო-სამეურნეო ხასიათისას, სახელდობრ მიაწოდებს მოსახლეობას ყოველგვარ საქონელს და საგანს როგორც სამომხმარებლო ისე სამეურნეო ხასიათისას, დაამზადებს, გაასაღებს სოფლის მეურნეობის ყველა პროდუქტს, აგრეთვე მოაწყობს სასოფლო-სამეურნეო წარმოებას საკუთარ საწარმოთა პრინციპზე.

შენიშვნა: ქალაქისა და სოფლის მოსახლეობისათვის ფართო მასიური მოხმარების საგანთა მიწოდება შედის მარტოოდენ სამომხმარებლო კოოპერაციის ფუნქციებში.

5. წარმოკავშირის სისტემის სამეურნეო მოქმედების ობიექტი არის საქართველოს სოფლის მეურნეობის ყველა დარგი შეუზღუდავად და მის ფუნქციებს შეადგენს:

1. მიაწოდოს მიწის მუშათ, როგორც კოოპერატივის წევრთ, ისე არა წევრთ, წარმოების იარაღი მავნებელთა წინააღმდეგ საბრძოლველი საშუალებანი, მისი სასუქი, თესლეულობა და ყველა საგანი და მასალა, რაც საჭიროა სოფლის მეურნეობის წარმოებისათვის; 2) დაამზადოს და გაასაღოს სოფლის მეურნეობის პროდუქტები შეუზღუდველად, უმთავრესად კოოპერატიული გასაღების პრინციპზე, კერძო შუამავლის ჩაურევლად, რა ფორმაშიაც უნდა გამოიხატებოდეს იგი; 3) გადაამუშაოს სოფლის მეურნეობის პროდუქტები და მოაწყოს სასოფლო-სამეურნეო წარმოება, როგორც საკუთარ საწარმოთა პრინციპზე, ისე კოოპერატიული საწარმოს პრინციპზე; 4) განახორციელოს საგრიკულტურო ღონისძიებანი საქართველოს სოფლის მეურნეობის ცალკე დარგთა აღდგენისა და რაციონალიზაციისათვის.

6. რათა სოფლის მეურნეობას მატერიალურად ხელი შეეწყოს, კრედიტის სახით, გრძელვადიანი და მოკლევადიანი სესხის მიცემით და რათა გამოყენებულ იქნეს ადგილობრივი თავისუფალი საშუალებანი, იქმნება ადგილობრივ მოეწყოს სასოფლო-სამეურნეო საკრედიტო ამხანაგობანი, რომელნიც შედიან საქართველოს სასოფლო-სამეურნეო კრედიტის ორგანიზაციის ცენტრში და მოქმედებენ ამ უკანასკნელის ხელმძღვანელობით.

ყველა საბანკო და საკრედიტო განყოფილება, რომელიც კი ცეკავშირსა და წარმოკავშირთან არსებობს, გადავა,—აპარატის დაუშლელად, რამდენადაც ეს შეაძლებელია,—საქართველოს სასოფლო-სამეურნეო კრედიტის ცენტრის განკარგულებაში, ხოლო წარმოკავშირსა და ცეკავშირს დაუბრუნდება ის საკუთარი სახსარი, რაც მათ გაუციათ ზემოაღნიშნული საკრედიტო და საბანკო განყოფილებათა მეშვეობით—სოფლის მეურნეობისათვის კრედიტის აღმოსაჩენად.

საქართველოს სოც. საბჭ. რესპ. სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე შ. ელიავა.

საქართველოს სოც. საბჭ. რესპ. სახალხო კომისართა საბჭ. საქმეთა მმართველი ბ. ხაჟალიძე.

1924 წ. დეკემბრის „2[illegible]“
თბილისი-სასახლე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

პარტიული და საბჭოთა კალენდარი

პარტიული

— **არსრაიკომის** ქალთა განყოფილება იუწყება: სამშაბათს, 23 დეკემბერს, საღამოს 5 საათზე, მუშათა ცენტრალურ კლუბში შესდგება **ქალთა დელეგატების კრება.**

დასწრება სავალდებულოა ყველა დელეგატებისა და ქალთა ორგანიზატორებისათვის.

მდივანი მელაძე.

— ქალაქის რაიკომის ქალთა განყოფილება იუწყება: 23 დეკემბრისთვის დანიშნული დელეგატთა კრება გადადებულია 30 დეკემბრისთვის.

ქალთა განყ. გამგე კობალაძე.

— **არსრაიკომი** იუწყება: ოთხშაბათს, 24 დეკემბერს, საღამოს 6 საათზე, რაიკომის შენობაში (პლეხანოვის პრ. 96) მოწვეულია **რაიკომის გაფართოებული პლენუმი კომუჯრედების მდივნებთან ერთად.**

დასწრება სავალდებულოა კომიტეტის ყველა წევრებისა და კომუჯრედების მდივნებისათვის.

მდივანი მელაძე.

— **არსრაიკომი** წინადადებას აძლევს 1899, 1900 და 1901 წლებში დაბადებულ პარტიის წევრებსა და კანდიდატებს, რომელნიც სცხოვრობენ 5, 7, 8, 9, 10, 11 და 12 სამილიციო უბანში, გამოცხადდენ თავთავიანთ უბნის კომისარიატის სამხედრო მაგიდაში ახალ რეგისტრაციაში გასატარებლად ამა წლის 25 დეკემბრამდე.

გამოცხადება სავალდებულოა ყველასთვის პარტდისციპლინის წესით.

მდივნის მაგიერ მელაძე.

— ლენინის რაიკომი აუწყებს ყველა პარტდელეგატებს: ოთხშაბათს, 4 დეკემბერს, საღამოს 5 საათზე, რკინის გზის მეექვსე უბნის კლუბში შესდგება **დელეგატთა პარტიული კრება.**

დღის წესრიგი: 1. კანდიდატების გადარიცხვა პარტიის ნამდვილ წევრებათ, 2. პარტიულ კანდიდატების დამტკიცება.

დასწრება სავალდებულოა ყველა დელეგატებისთვის, კომუჯრედების მდივნებისთვის და პარტიაში ახლად შემსვლელთათვის.

ლენინრაიკომის მდივანი ქავთარაძე.

— **მესამე რაიკომი** იუწყება: დღეს, სამშაბათს, 23 დეკემბერს, საღამოს 6 საათზე, მესამე რაიონის პარტკლუბის შენობაში შესდგება **რემედასის სამხედრო და სამოქალაქო უჯრედების ბიუროების თათბირი.**

დღის წესრიგი: 1. რემედასის კვირეულის ჩატარება, 2. რემედასის რაიბიუროს მოხსენება.

რადგან საკითხები ფრიად მნიშვნელოვანია, ყველა უჯრედების წარმომადგენელთათვის დასწრება სავალდებულოა.

განცხადებები

ყოფილ პოლიტკატორღელთა და გადასახლებულთა საზოგადოება ამით აცხადებს, რომ 21 დეკემბერს, საღამოს 2 საათზე რესპუბლიკის მთავარ საავადმყოფოში, დიდი ხნის ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა

ამხ. კომანდო გოგელია

დასაფლავების დღე იქნება გამოცხადებული ცალკე. ნ. 1—1

---

23 დეკემბერს, დილის 11 საათზე,

დანიშნულია თბილისის ალმასკომში, ოთახი № 29, ამხ. არ. რუხაძის კაბინეტში ამხ.

კომანდო გოგელიას

დამკრძალავი კომისიის სხდომა. მოწვეული არიან კომისიაში შემდეგი წევრები:

არაქელა, არ. რუხაძე, ლადო დუმბაძე, გ. გორდეზიანი, ხ. ჯაფარიძე, როგდაევი, ნ. ლეჟავა, ხახანოვი. 1—1

სამშაბათს, ა. | წ. 23 დეკემბერს, საღამოს 6 საათზე, თბილისის ალმასკომის თავმჯდომარის კაბინეტში (ოთახი № 1)

დანიშნულია

ალმასკომის მორიგი სხდომა

დღის წესრიგი:

1) 1924—25 წლის ბიუჯეტის განხილვა.
2) მიმდინარე საკითხები.

დასწრება ყველა წევრთა და კანდიდატთა სავალდებულოა.

2—2 ნ. 427 **პრეზიდიუმი.**

გაზეთების ხელისმომწერლების საყურადღებოთ

ცხადდება შემდეგი:

1) მისამართები უნდა იყოს სწორათ და გარკვევით დაწერილი.
2) ყოველგვარი ცნობის მისაღებად აუცილებლივ საჭიროა წარმოდგენილ იქნეს მიცემულ ქვითარის ასლი, წინაალმდეგ შემთხვევაში კანტორა არავითარ ცნობას არ მისცემს დაინტერესებულ პირთ.

3—2 **კანტორა.**

ჯანმრთელობის სახ. კომისარიატი

აცხადებს რომ

საჭიროა გამოცდილი ექიმები

შემდეგ მაზრებისათვის:

1. დუშეთის მაზრაში	2 ექ. და 2 ბებია ქალი
2. ბორჩალოს მაზრა	1 ექიმი
3. გორის „	5 „ 2 „ „
4. შორაპნის „	2 „
5. თელავის „	1 „
6. სამხრეთ ოსეთში	1 „
7. ოზურგეთის მაზრაში	4 „
8. ზუგდიდის მაზრაში	4 „
9. ლეჩხუმის მაზრაში	3 „
10. სვანეთში ჰირურგი	1 (ჯამაგირი 250 მ.)
და ფარმაცევტი	1

11. რაჭის, ლეჩხუმის და სვანეთის მაზრებში 3 კბ. ექიმი

თვიური ჯამაგირი ექიმებს 75—150-მდე, ქართული ენის ცოდნა სავალდებულოა გარდა სამხრეთ-ოსეთისათვის და ბორჩალოს მაზრისათვის.

კბილის ექიმებს მიეცემათ ჯამაგირი 60—130-მდე მან.
ბებია ქალებს „ „ 32— 70 „ „

ყოველი ცნობის მიღება შეიძლება ჯანსახკომისარიატის საადმინისტრაციო საორგზნიზაციო განყოფილებაში (საპიორის ქ. № 30).

ნის. 434. 1—1

საოლქო კავშირის

ა | კავკასიის სამმართველოს სჭირდება

შეშა

40 კუბიკურ საჟენამდე—მაგარი ჯიშისა.

წინადადება მიიღება წერილობითი სახით საოლქო კავშირის სამმართველოს სამეო განყოფილებაში. რუსთაველის პროსპექტი № 43

436. 1—1

სახელმ. დრამა

დღეს, 23 დეკემბერს

სინათლე

ხუთშაბათს, 25 დეკემბერს

მათრახის ჰანაშვიდი

შაბათს, 27 დეკემბერს

ვინძორის მხიარული ქალები

ნ. 433 3—1

სახელმწ. ოპერა

დღეს, 23 დეკემბერს

აიდა

ხუთშაბათს, 25 დეკემბერს

1. კარნავალი ‖ 2. შეპენიანი

ოთხშაბათს, 24 დეკემბერს

ქართული წარმოდგენა

ნ. 432 3—1

დღეს უდიდესი

გაიხსნება

კინო

ტისი

ორკესტრი 22 კაცისაგან

ნ. 1—1

ჟურნალ „მნათობის“

ყველა ქალაქების და მაზრების აგენტებს.

წინადადება გეძლევათ ერთი კვირის განმავლობაში დღიდან ამის გამოცხადებისა დააბრუნოთ დარჩენილი №№ ჟურნალ „მნათობისა“, ხოლო დარიგებულ ნომრების ფასში 1 მან. 62 კ. თითო ნომერზე დაუყოვნებლივ გადმოაგზავნოთ შემდეგი მისამართით: რუსთაველის ქუჩა 22, რედაქცია „მნათობი“ თომა ჩიქვანაიას და აგრეთვე სია ხელისმომწერთა.—სიაში უნდა იყოს ნაჩვენები რამდენი ხნით იყო ჟურნალი გამოწერილი, რამდენი ცალი და რამდენია მიღებული ფული. წინაალმდეგ შემთხვევაში მიღებული იქნება სასტიკი ზომები.

დაწესებულებებსაც ვსთხოვთ ხელი შეგვიწყონ ამის გამოკვლევაში.—ყველა მანდატები გაცემული 5 დეკემბრამდე ა. | წ. აგენტებზე გაუქმებულია და ინიშნება ახალი აგენტები.

№ 1 და 2 ხელახლა იბეჭდება და მიღებულია ყოველგვარი ზომები ხელისმომწერთა დასაკმაყოფილებლად.—შემდეგში ხელისმომწერნი სისტემატიურად მიიღებენ ჟურნალ „მნათობის“ №№, რადგან გამომცემლობის და ექსპედიციის საქმე სათანადოთ მოგვარებულია და მოწყობილი.

ნ. 418 3—2. ჟურნალ „მნათობის“ რედაქტორი: ლეონტი რუხაძე.

„თეატრი და ცხოვრება“

მორიგი № 19 (22) გამოვიდა შემდეგი შინაარსით:

მეთაური—ხელოვნება ხალხისთვის; მარმარელი—ეროვნული თეატრისათვის; ის. ვარაზაშვილი—საქმე, რომელიც უნდა მოგვარდეს (წერილი მეორე); დ. კორძელი—მარადი ტყვე; ხანი—გლეხთა კომიტეტები და მოძრავი კინო; გ. ა—ციხელი გაძევებაში კ. კოსტენკოსი; ხ. მაჭავარიანი—რა უჭირს კახეთს? ქართველ მოღვაწეთა ლექსიკონი—ფ. მგელაძე; ფ. რუშაველი—პროლეტარების სამშობლო; არნო ონელი—შემოდგომა სოფელში; კაიუს პელი—ლეილლა; ლიდია მეგრელიძე—გურია; იოსებ იმედაშვილი—ძუკუ ლოლუა და მისი უკანასკნელი ოცნება; ძუკუ ლოლუა—მოხსენება კონფერენციის მოწვევისათვის ხალხურ სიმღერათა შესაკრებად; გ. ნ.—ქართული აკადემიური დრამა; კ. ლორთქიფანიძე—პროლეტარული წითელი თეატრი; იოსებ არიმათიელი—ჯანსაღი სიმღერა: ს—ო—კინო: ახალი კინო-სურათი; შ. ზ.—დაბა-სოფლის მოღვაწენი; მ. ჯაფარიძე; ი.—ჩუმი მუშაკი: მათე იანქოშვილი.

სად რა კეთდება—ვინ რას აკეთებს;

კენტავრი—ახალგაზრდა მუსიკოსთა საზოგადოებაში. **გერცელ ბააზოვი**—კულტურული მუშაობა საქართველოს ებრაელთა შორის. **შ.**—პლეხანოვის კლუბი.

იუმორისტული განყოფილება:

ნიორი— გასართობი: კითხვა-პასუხი, სურათები; თითო № 25.

მიიღება 1925 წ. ხელისმოწერა.

ხელმძღვანელი კოლეგია;

ნის. 440. 1—1 რედაქტორ-გამომცემელი იოსებ იმედაშვილი.

უძრავ ქონებათა სამმართვ. საბინაო სექცია

ამით აცხადებს დაწესებულებათა და მოქალაქეთა საყურადღებოთ, რომ დეკემბრის 23 რიცხვიდან

დროებით შეწყვეტილია

განცხადებების მიღება ბინებით დაკმაყოფილების შესახებ, საფონდო ოთახების სრულიად უქონლობის გამო. განცხადებების მიღების განახლების დღე ცალკე იქნება გამოცხადებული.

ნის. 435. 1—1 საცხ. სად. სექ. გამგე—**რაზმაძე.**

მეღვინეთა და მევენახეთა

= საყურადღებოთ =

1-ლი სააქციო სატრანსპორტო საზოგადოება

„ტრანსპორტი“

ამით აცხადებს, რომ **მან გახსნა**

ქ. მოსკოვში ‖ ღვინის საწყობი

„ტრანსპორტი“ იძლევა გადასატან მოწმობას ღვინოზე (провозное свидетельств.) და გადააქვს აქციზი მოსკოვზე

თბილისის კონტორის გამგე ევგ. სიხარულიძე

ნ. № 399—5—3

1925 წ. 1 იანვრიდან „მეწის მუშის“ მაგიერ გამოვა

ყოველკვირეული სასოფლო გლეხური გაზეთი

„ახალი სოფელი“

გაზეთი ღირება:

ერთი თვით	— — სამი შაური.
ორი თვით	— — ხუთი შაური.
სამი თვით	— — შვიდი შაური.
ნახევარი წლით	— სამი აბაზი.
ერთი წლით	— — მანეთი.

გაზეთის გამოწერა შეიძლება შემდეგი მისამართით: თბილისი, რუსთაველის ქუჩა № 24, „ახალი სოფელი“-ს რედაქციას. გამოწერა შეიძლება აგრეთვე ფოსტის ყველა კანტორაში.

ფულის მაგიერ მიიღება საფოსტო მარკები.

ნის. 413 0—3.

ცეკავშირი

თბილისი, შტაბის ქ. №№ 4—6

საკანცელარიო ნივთების და წიგნების საწყობში იყიდება:

საბუხჰალტერო წიგნები
პაკეტები ქაღალდებისათვის
ბლოკ-ნოტები
უბის წიგნაკები
რეგისტრატორები
უდები საქმეებისათვის
კალენდარები
კონვერტები
ქაღალდები
ფანქრები
და სხვა

[illegible]

საქართველოში ცეკავშირს აქვს სამონოპოლიო უფლება საკანტორო ნივთების და სხვადასხვა საკანცელარიო ნივთების—ფაბრიკა **„სვეტოჩ“-ის** (ყოფ. **ოტტოკირხნერის**) ნაწარმოებების გაყიდვაზე.

ცეკავშირი უშვებს თავის საწყობიდან და იღებს დაკვეთას **„სვეტოჩის“** პრეისკურანტების მიხედვით.

3—2

კერძო

გინეკოლოგიური და ქირურგიული

საავადმყოფო

ტერაპევტიული განყოფილებით

სტაციონალურ ავადმყოფთა, გარდა გადამდებ და სულით ავადმყოფთა მიღება ყოველ დროს. ამბულატორული მიღება მეანობაში და გინეკოლოგიაში, ქირურგიულ და შინაგან ავადმყოფთა დილის 10—2 საათამდე და საღამოს 7—8 საათამდე.

სოლოლაკი, რტიშჩევის ქ. № 13.

ცნობების მიღება: ექიმი შახნაზაროვის ტელეფონით № 7—14—4.

ნის. 372 100—8

ექიმმა

დიტრიხმა

ავადმყოფობის შემდეგ

◎ **განაახლა** ◎

ავადმყოფების მიღება გერმანელთა საავადმყოფოში

ქ. № 2837—25—22

„რუსეთის კომპარტიის (ბოლშევიკების) ამიერ-კავკასიის საოლქო კომიტეტის უწყებათა“ სანაცვლოდ—მომავალი წლის იანვრის პირველ რიცხვებიდან **დაიწყებს გამოსვლას** პოლიტიკური და პარტიულ-ორგანიზაციული დიდი ჟურნალი

„კავკაზსკი ბოლშევიკ“

ორგანო რუსეთის კომპარტიის ამიერ-კავკასიის საოლქო კომიტეტისა.

ჟურნალი გამოვა თვეში ერთხელ ათი დაბეჭდილი ფურცლის ზომით. ჟურნალი შეიცავს შემდეგ განყოფილებებს: პარტია, პოლიტიკა, სოფელი, ამიერ-კავკასიის ბეჭდვითი სიტყვა, კრიტიკა, ბიბლიოგრაფია, ოფიციალური განყოფილება. პირველ ნომერში მოთავსებული იქნება შემდეგ ამხანაგთა წერილები: ქართველიშვილის, მიხ. კახიანის, მიხ. ლიფშიცის, ფ. მახარაძის, ა. მიასნიკოვის, ა. ნაზარეტიანის, მამია ორახელაშვილის, შ. ელიავასი, მ. ესსენის და სხვათა. **ხელმოწერა და შეკვეთა მიიღება „ზარია ვოსტოკას“** მთავარ კანტორაში და ყველა მის განყოფილებაში. ხელის მომწერის პირობები გამოცხადებული იქნება ცალკე.

პასუხისმგებელი რედაქტორი ა. ფ. მიასნიკოვი.

სარედაქციო კოლეგია: მიხ. კახიანი, მ. ლიფშიცი, მ. ესსენი.

ნ. 423 3—2

საქართველოს სახელმწიფო სავაჭრო საზოგადოება

საქ. სახ. ვაჭრობის **მაღაზიებში მიღებულია:**

1. **ლურსმები** მავთულისა—ყოველნაირი ზომის და ყველა ხარისხის.
2. **მავთული**—სხვადასხვანაირი.
3. **ხარისხოვანი რკინა.** გოგრებისა, სასალტე, ბრტყელი, ოთხკუთხი, რგვალი და სხვა.
4. **შპაგატი**—და „მექანიკური ბიჩევა“.

ყიდვა შეუძლია ყველას ბითუმათ წვრიმალნათ. სახელმწიფო ორგანიზაციებს და კოოპერატივებს ეძლევათ დაკლებულ ფასებში.

ნის. 428 2—2

ს. ს. ს. რ. განათლების სახალხო კომისარიატი

კვირას, 28 დეკემბერს, დილის 10 საათზე გამანაწილებელ განყოფილებაში ნიშნავს

შეჯიბრებას

თბილისში 30-35 ფუთი ხორცის ჩაბარებაზე ყოველ-დღიურათ.

კოჯორში 5 ფუთისა—ყოველ-დღიურათ და აგრეთვე მწვანილის მიწოდებაზე.

თბილისში 110 ფუთი პურის გამოცხობაზე ყოველ-დღიურათ.

კოჯორში 10 ფუთისა.

პირობები წარმოდგენილ უნდა იყვეს დახურულ კონვერტებში.

პირობის გაგება შეიძლება გამნაწილებელ განყოფილებაში, ოთახი № 14. დღის 12—3 საათამდე, რუსთაველის პრ. № 31.

ნ. № 426 2—2

ელექტრონით და სინათლით

სამკურნალო

საწოლებით ჩვეულებრივი დაარსებული

მიხეილ გედევანიშვილის სახელობის

ნერვიულ დააგრეთვე იმ ავადმყოფთათვის, რომელნიც ფიზიკურ მეთოდებით ექიმობას საჭიროებენ

მიღება 2—3 და 6—8 სათ. თბილისი, ყორღანოვის ქ. № 20. 9205. 25—19

ექიმი

ა. ს. ვადაჭკორია

ღებულობს ქალთა სნეულებათა ავადმყოფებს და უწევს სამეანო დახმარებას. მიღება დილის 8—10-მდე საღ. 3—7-მდე. ოლღას ქუჩა № 35

25—12

მედიცინის დოქტორი

ა. ა. მონსე

ბავშვთა და მოზრდილთა შინაგან ორგანოების და ნერვიული სისტემის ავადმყოფობანი.

ელექტრო-სინათლით საექიმო კაბინეტი. მიღება დილით 10—12 საათამდი, საღამოს 5—7 საათ. გარდა უქმეებისა.

პლეხანოვის პრ., № 111 (ყოფ. მიხეილის ქუჩა), ბინა 2.

№ 2969 25—15

ექიმი

გ. გ. მერაბზიანცი

ავადმყოფობა ფილტვების, გულის, ტუბერკულიოზის. სპეცმკურნალობა მალეირისა. **ელექტრო-სხივებ-რენტგენის სამკურ. კაბინეტი. ფოტოგრაფია და მკურნალობა რენტ. სხივებით.**

მიღება დილის 9—1 ს. და საღამოს 5—8 ს. ბებუთოვის ქ. № 23.

13—11 2746

ექიმი

ს. ა. გალუსტიანი

შინაგანი, კანის, ვენერიული სნეულებანი (მწვავე და ქრონიკული ტრიპერი, სიფილისი).

ავადმყოფების მიღება 9-დან დღის 12 საათამდე და 4-დან საღამოს 7 საათამდე, ქალების—2-დან 4-დე.

ელისაბედის ქუჩა, № 77, მეორე სახლი კირკის ქუჩის კუთხიდან.

3083 25—6

ექიმი

პ. რ. ვართანოვი

სიფილისი. კანისა და ვენერიული ავადმყოფობა.

მიღება: დილით 9—10 ს. საღ. 5—7 ს.

მისამართი: სურამის ქ. № 9. კუთხე სადგურის ქუჩისა. რკინის გზის სამმართველოს მახლობლათ.

25—7

ექიმი

ე. მ. მძინარიშვილი

სიფილისი, ვენერიული და კანის სნეულება

ავადმყოფების მიღება: 1—2 ს. და 6—8 ს. საღამოთი; ქალების და ბავშვების 5—6 ს.

მისამართი: რუსთაველის პროს. № 18 (შესავალი კრუზენშტერნის ქუჩიდან).

25—11

ექიმი

ა. დ. კეკელია

სიფილისი, ვენერიული და კანის ავადმყოფობა.

მიღება: დილის 9—11 საათ. საღამოს 5—8. პლეხანოვის პროსპექტი № 116, სასტუმრო „ნოე“-ს პირდაპირ. 25—22 № 2850

დაჰკარგე პირადობის მოწმობა პოლიკარპე წულაიას სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულათ.

3145 1—1

დაჰკარგე სარეგისტრაციო ბარათი გრიგოლ მჭედლიშვილის სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულათ.

3142 1—1

დაჰკარგე ორი ცალი სიღარიბის მოწმობა გაცემული სამხრეთ ოსეთის აღმასრულებელ კომიტეტის მიერ 1923 წ. და 1924 წლისა. მასთან ერთად სახალხო განათლების კომისრის რეზოლიუცია სახელმწიფო უნივერსიტეტში სწავლის ფულისაგან განთავისუფლების შესახებ. ჩაითვალოს გაუქმებულად. სტუდ ნიკოლოზ მიხეილის ძე მარიბელი. 3146 1—1

დაჰკარგე სამხედრო აღრიცხვის ბარათი, მოცემული მეორე კომისარიატიდან დავით გრიგოლის ძე ლეჟავა-არსაბაშვილის სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულათ. 3148 1—1

დაჰკარგე მატრიკული სამკურნალო ფაკ. თამარ ნიორაძის სახელობაზე. ჩაითვალოს გაუქმებულათ.

3147 1—1

დაჰკარგე სალექციო წიგნაკი სოციალ-ეკონომიური დარგის, მოცემული თბილისის სახალხო უნივერსიტეტიდან № 2220, გაცემული 1923 წ. თინათინ არჩილის ასულ ჩიხლაძის სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულად. 3143 1—1

დაჰკარგე დამზღვევი კასის ქაღალდი დარია გაბრიელის ასული ვაშაკიძის სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულად. 3144 1—1

დაჰკარგე აპოლონ ჯაფარიძეს სახელზე მიწა-ტყის კავშირის წიგნაკი. ჩაითვალოს გაუქმებულად. 3141 1—1

[illegible] სტამბა სამ. წერეთლის ქუჩა № 4